პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ, წ. არ. და
მაზრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე
ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივანის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: მუშა მოსამსახურეებისათვის 65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ხელისმოწერებით მომპარველის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მანეთი. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 ...

№ 115 (970) ხუთშაბათი, 22 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 115 (970)

დ ღ ი უ რ ი

— რუმინეთში მოხდა ებრაელების დარბევა.

— ინდოეთში 4 ინდუსს მიუსაჯეს კატორღა ბოლშევიკური აგიტაციის წარმოებისათვის.

— გაიხსნა ნორვეგიის კომპარტიის ქალთა განყოფილებების პირველი კონფერენცია.

— ბერლინში ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი, რომელმაც დაანგრია ელექტრონის სადგური.

— ბელგიაში დაიწყო რამოდენიმე ჯაშუშის გასამართლება; ფიქრობენ რომ საქმე შეეხება აგრეთვე რამდენიმე საზოგადო მოღვაწეს.

ს. კ. პ. თბ. კომიტეტი წინადადებას აძლევს

ერთიან პარტიულ დღეს

...ისს დასვათ საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობის შედეგების შესახებ.

...მგზებელ მიმდგრებულ ამხანაგებისთვის და უჯრედების მდივნებისთვის ...კახიანის მიერ გაკეთებული იქნება საინსტრუქციო მოხსენება პარტიულ კლუბში 22 მაისს საღამოს 6 საათზე.

თბ. კომ. პასუხისმგებელი მდივანი: კახიანი.

მენშევიკური ბანდიტიზმი

...ოფილი მენშევიკის, უშანგი ...მინაძის, წერილი, რომელსაც ...ენებს დღეს, ფარდას ხდის ...ხელ კიდევ მენშევიკური ცე... მავი ჯურღმულების ავანტიუ...ტულ „მუშაობას" და დღის ...თლეზე გამოაქვს ბანდიტთა ...ვის საქმენი საგმირონი.

...ოლიტიკური პარტიების ის...რიაში ჩვენ ვერ გვიპოვნია ...რწნის, გათახსირების, დაწვ...მანების ისეთი მაგალითი, ...ორიც მოგვცა საქართველო... მენშევიკურმა პარტიამ. რო...ც იწყებ ბრძოლას, რასა...ველია, გასულდგმულებს გა...ჯების მოლოდინი, მაგრამ ...ი ის მებრძოლი, რომელიც ...ლ ვერ უსწორებს დამარცხე... შესაძლებლობასაც. ეს დამარ...ება ბრძოლაში ჩვენ გვინახავს, ...გონია, ან წაგვიკითხავს ამაზე ...რამ ასეთი განადგურება პო...ტიკურად, იდეურათ და ზნე...რივათ, როგორიც წილათ ხვდა ...რთველოს სოციალ-დემოკრა...ულ პარტიას, ძნელი წარმოსა...ენია.

...ოდესღაც ყველაზე უფრო ...იერი პარტია ჩვენი ქვეყნის, ...ტია, რომელსაც თავი მოჰქონ... მთელი მშრომელი ხალხის ...ტერესების ჭეშმარიტ გამომხატ...ლათ, იყო იდეურ-პოლიტიკუ... გეგემონი რამოდენიმე ათეუ... წლების მანძილზე, ხელთ ...ყრა ქვეყნის მართვა-გამგებლობის ...პე, დაკნინდა, დასუსტდა, მოის... როგორც პარტია და დარჩე...ლი რამოდენიმე ერთეული, ...ებული ცენტრალურ კომი...ტი, ბანდიტებისა და ყველა ...რალების ორგანოთ გახდა. ...მებისა და გლეხების გაცლის ...მდეგ ის დაადგა ავანტიურის, ...რორის გზას, ხელი მიჰყო ...თ მუშების მკვლელობას, რომ...ბიც ერთ დროს ამშვენებდნენ ... რიგებს. ამ შურისძიების ...ირპლი შეიქნა პატიოსანი, ...ნებული მუშა, ძველი რევო...უციონერი ამხ. გიორგაძეც. ის ...ოკლა ცეკამ იმიტომ, რომ და...ინებია სხვები, მოკლა იმიტომ, ...ომ მისი „ღალატი" მოღალატე ...არტიისადმი ცეკამ მიიჩნია დამ...ველათ თავისი საქმისათვის.

მაგრამ ავანტიურისტებს არ შე...ლოთ აშკარათ ეთქვათ ეს. პი...ქით. მათ გამოუშვეს ფურცე... ამის შესახებ, სადაც ამბობ...ნ, რომ გიორგაძე მოკლა ჩე...ა. ამაზე მეტი სიყალბე და დაბ... ყოველი საღი აზრის ნა...მალის გაფანტვა წარმოუდგენ... იყო.

...რატომ უნდა მოეკლა ჩეკას ...დევაც რომ წარმოვიდგინოთ, ...უშვათ ერთ წამს, რომ ეს ორ...ო მიმართავს ასეთ ზომებს) ...შევიკი, რომელიც მოსწყდა ...ღალატე პარტიას, დაჰგმოს ის ... გადავიდა მშრომელი ხალხისკენ, მხარში ამოუდგა ამ ხალხის ხელისუფლებას? მაგრამ ამ სიყალბეს და სისულელეს ამბობდა ცეკა თავის ფურცელში.

ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ ეს უსინდისობა, ეს უხერხემლო დემოგოგია და პროვოკაციული გამოსვლა ხომერიკ-ფაღავას აგენტების, წვრილფეხა ავანტიურისტებისა და სისხლის დანაშაულების გმირების.

დღეს კი გამოდის ყოფილი მენშევიკი, რომელსაც ცეკა ანდობდა თავის საიდუმლოებას გიორგაძის შესახებ, რომელიც მოწამე იყო მისი მოკვლის სამზადისის და ააშკარავებს ფრანსუა ხომერიკების შინაურ საქმეებს. დღეს მაინც გაიგონონ, დაინახონ და დაიჯერონ ზოგიერთმა „ურწმუნო თომებმა", თუ რა ყოფილა ეს ცეკა, როგორ კლავდა ის მუშათა საქმისათვის თავდადებულ რევოლიუციონერ მუშას მხოლოდ იმიტომ, რომ ის გულწრფელათ მივიდა მენშევიზმის უარყოფამდე, გასცილდა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიას და მიაშურა მშრომელთა საერთო რევოლიუციონურ ოჯახს.

მაგრამ სხვა რამეც სთქვა ლომინაძემ.

როდესაც ჩვენ ვწერდით ან ველაპარაკებით ჩვენ ხალხს: აი მენშევიკები, ისინი გამოდიან და აწყობენ აჯანყებებს, სურთ უცხო ქვეყნების ჩარევა შინ შინაურ საქმეებში, არ ერიდებიან სისხლის ღვრას, ოღონდ გაბატონდნენ საქართველოში და მით გაბატონონ უცხოელი იმპერიალისტები აქ, რომ ეს ავანტიურისტები უკავშირდებიან ყაჩაღთა ბრბოებს, შემდგარს ძველი თავადებიდან და მემამულეებიდან, რომლებიც ვერ ურიგდებიან თავიანთ პრივილეგიების, თავიანთ ძველი უპირატესობის დაკარგვას—როდესაც ამას ვამბობდით ჩვენ, ეს მიაჩნდა ისევ ზოგიერთ ურწმუნოებს დემაგოგიათ და გადამეტებათ. დღეს კი გამოდის ყოფილი აქტიური მუშაკი მენშევიკური ცეკასი და ადასტურებს ერთხელ კიდევ (და რამოდენიმეჯერ?) ყოველივეს, რასაც ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებდით.

ამის შემდეგ ვინ უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას ლმობიერება ამ ხალხის მტრებისა და ავაზაკებისადმი, ვინ უნდა დააფაროს ხელი მათ ავანტიურას, მათ ბნელ საქმეებსა და დანაშაულობას ჩვენი ქვეყნის მიმართ?

ასეთია მენშევიკების ცეკა—ერთხელ კიდევ გამოაქაქა დღის სინათლეზე მისი შავბნელი საქმეები ლომინაძემ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც წინეთ, ისე ახლაც საკადრის მსჯავრს დასდებს მას საქართველოს და მთელი ჩვენი კავშირის მშრომელი ხალხი.

რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი*)

III

...რაიონის ადგილობრივ მეურნეო... ...ს მიზანია ადგილობრივ საზოგადო ...მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ...ილობრივი საშუალებებით. ამ ...ვარი დებულებიდან გამომდინა... ...ს ადგილობრივ-რაიონის-ორგა... კომპეტენცია და ის ვალდებუ...ებანი, რომელიც უნდა დაეკისროს ...აიონის ბიუჯეტს. აქედან ცხადია, ...მ რაიონის ბიუჯეტმა უნდა დააკმაყოფილოს რაიონის ის მოთხოვნილებანი, რომელთა შესრულება ტექნიკურად ადვილია და რომელთა დაკმაყოფილებას ითხოვს რაიონის მოთხოვნილება. უფრო რთული და ...რო ძვირფასი სამეურნეო ზომები, ...მელთა გატარებას ითხოვს მცხოვ...ბთა უფრო ფართე წრის, ვინემ ...იონის ფარგლებში მოყოლილ ...ოვრებთა ინტერესები, უნდა ...კისროს სამაზრო ბიუჯეტს. ...ასადამე, რაიონის მოთხოვნი...ბათა დასაკმაყოფილებლად სა...რო სამეურნეო ზომები უნდა ეკისროს რაიონის ბიუჯეტმა და გაატაროს მან ადგილობრივ საშუალებებით და ძალებით. შევეხოთ უფრო დაწვრილებით რაიონის მეურნეობის ფუნქციებს.

სახალხო განათლების სფეროში მიზანშეწონილი იქნება რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტს დაეკისროს: ადგილობრივი მნიშვნელობის ელემენტარულ სკოლების შენახვა, ზოგიერთი ზომები სკოლის გარეშე განათლების დარგში, რაიონის ფარგლებში არსებულ სკოლების (პირველი საფეხურის) მომარაგება შეშით, მათი მოვლა და წვრილმანი შეკეთება. სახალხო ჯანმრთელობის დარგში რაიონის მეურნეობის საქმე უნდა იყოს რაიონის მნიშვნელობის საავადმყოფოს, ამბულატორიის ან საფერშლო პუნქტების შენახვა, არსებული საავადმყოფოებს შეშით მომარაგება და მათი მოვლა, ადგილობრივ მნიშვნელობის გზებისა და ხიდების შენახვა, აგრონომიულ და სანიტარულ და სხვა ზომების გატარება, რომელთა მიზანი იქნება ადგილობრივ მცხოვრებთა ცხოვრების გაუმჯობესება,—რაიონის მეურნეობის ძირითად ამოცანებს უნდა შეადგენდეს.

მაგრამ ამოწურვა იმ ვალდებულებათა სიისა, რომელიც უნდა დაეკისროს ადგილობრივ მეურნეობას, შეუძლებელია. ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც რაიონი ვალდებული იქნება მიიღოს მონაწილეობა უმაღლეს ორგანოს მიერ განზრახულ ზომების გატარებაში. ავიღოთ, მაგალითად, სამელიორაციო მუშაობა ან და ხევების ან მდინარეების ნაპირების გამაგრება.

ეს ზომები ერთის მხრივ ითხოვენ დახელოვნებულ მუშაკებს—ინჟინრებს, ტექნიკოსებს, რომელნიც რაიონის ორგანოს არ ეყოლება, მეორე მხრივ—ამ ზომათა გასატარებლად საჭირო იქნება დიდი თანხები, რომელიც ადგილობრივ ორგანოს არ ექნება, მაგრამ ნაწილი ამგვარ ზომებზედ გაწეული ხარჯებისა უნდა დაეკისროს რაიონის მცხოვრებთ, რაიონის მეურნეობას, განსაკუთრებით—დახმარება შრომით. ავიღოთ მეორე მაგალითი: რა მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ადგილობრივ რაიონის ბიუჯეტს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობაზე გასაწევ ხარჯებში. აგრონომიული პერსონალს ინახავს სახელმწიფო ან სამაზრო აღმასკომი, მაგრამ ამ პერსონალის მიმოსვლა რაიონის ფარგლებში უნდა დაეკისროს რაიონის ბიუჯეტს. სასოფლო-სამეურნეო სკოლების ორგანიზაცია და შენახვა მთლიანად თუ არ დაეკისრება რაიონის მეურნეობას, სკოლის შენობის მოწყობა, განათება და გათბობა მაინც რაიონის მეურნეობის კომპეტენციას უნდა შეადგენდეს. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან, მაგალითად, კალიასთან ბრძოლაში რაიონის მცხოვრებლებმა და რაიონის ბიუჯეტმა უნდა მიიღონ მონაწილეობა შრომით და, თუ შესაძლოა, სხვა საშუალებებითაც. ჩვენ შეგვეძლია სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ ჩვენი აზრის დასამტკიცებლად ესეც კმარა.

მართალია, მთავარ ხარჯებს სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარებაზე ეწევა სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანო, მაგრამ ნაწილი ამ ხარჯებისა უნდა იკისროს ადგილობრივმა ბიუჯეტმა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რადგან აღნიშნულ ზომების გატარებაში ყველაზედ მეტად დაინტერესებულია რაიონი და მისი მცხოვრებნი. ამ შემთხვევაში ადგილობრივმა ორგანომ უნდა იკისროს სამეურნეო ხარჯები: ბინა, განათება, გათბობა, მიმოსვლა, მონაწილეობა შრომით და სხვა ამგვარი.

ადგილობრივ ბიუჯეტის მოვალეობასვე უნდა შეადგენდეს ცეცხლის საწინააღმდეგო ზომების მიღება და სოციალური უზრუნველყოფა დავრდომილთა რაიონის ფარგლებში.

ცეცხლის წინააღმდეგ ზომები სწრაფად უნდა იქნეს მიღებული, ამიტომ ამ ვალდებულების დაკისრება თუნდაც სამაზრო ცენტრზე იმას ნიშნავს, რომ იგი არავის არ ეყოლება. ამიტომ ამ საქმის მოწყობა უსათუოდ უნდა დაევალოს რაიონს. ასევე უნდა დაევალოს რაიონს სოციალური უზრუნველყოფა რაიონის ფარგლებში მყოფ ინვალიდებისა და დავრდომილებისა, თუ მათი მოთავსება სამაზრო თავშესაფარში მოუხერხებელია.

რაიონის მეურნეობის მთავარ მოვალეობას უნდა შეადგენდეს ადგილობრივ მნიშვნელობის მიწების, მამულების, წარმოებების და შენობების მოვლა-შენახვა, რაციონალური ექსპლოატაცია მათი, აგრეთვე შენახვა ისეთი სამეურნეო დაწესებულებისა, რომელთა არსებობა რაიონის კეთილდღეობისათვის საჭიროა, და შენარჩუნება აღნიშნული ხასიათის არსებული დაწესებულებებისა—რაიონის მეურნეობის ძირითადი მიზანი და დანიშნულება.

ამგვარად, მოწყობილი რაიონის მეურნეობა დაუახლოვდება ადგილობრივ ორგანოთა იმ ტიპს, რომელმაც ფეხი მოიკიდა ევროპაში და ამერიკაში.

გ. ხა—ლი.

გაზეთების გავრცელების შესახებ

გაზეთი ჯერ კიდევ ვერ შევიდა ფართო გლეხთა მასებში—სოფლად. ხელისმომწერთა უმრავლესობა ქალაქისა და დაბის მცხოვრებთ ეკუთვნით. ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი—გაზეთის შედარებით სიძვირე—თითქმის გადალახულია მტკიცე ვალიუტის შემოღების შემდეგ გაზეთების ფასმა დაიკლო. ამასთან „ზაკრატდის" პრობლემის ზოგადად გადაჭრამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ ხელმოკლე გლეხსაც ადვილათ შეუძლია გაზეთის ყიდვა.

ამავე დროს ჩვენი გაზეთი შინაარსის და ტექნიკის მხრით საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მიუხედავათ ყველაფერ ამისა, ის მაინც სათანადოდ ვერ იკიდებს ფეხს გლეხთა ფართო მასებში.

არსებობს ორი სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ჩვენი გაზეთის გავრცელებას.

1) მოიკოჭლებს საფოსტო აპარატი და 2) სოფლად არ გვაქვს ჩვენ მოწყობილი გაზეთების მიმწოდებელი ფართო ქსელი, ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიციის კონტრაგენტების სახით.

ფოსტის აპარატის მოუწყობლობის შესახებ ბევრი ითქმის. ჩვენ ფოსტას ასე ვსთქვათ აქვს აღებული ორიენტაცია რკინის გზაზე, იქ, სადაც ტფილისიდან რკინისგზამდის, ფოსტის საქმე მოწესრიგებულია. საკმარისია გავცილდეთ რამოდენიმე ვერსით რკინის გზას, რომ ფოსტამ გვიჩვენოს ყოველი თავისი უარყოფითი მხარეები. მაგალითებისათვის შორს არ წავალთ: ასურეთი და აღბულაღი დაშორებულია ტფილისიდან რამოდენიმე ათეული ვერსით. მაგრამ იქ ფოსტა კვირაში ერთხელ მიდის, გვქონდა საშუალება პირადათ დავრწმუნებულიყავით (ა. წ. თებერვალში), რომ გომბორის საფოსტო განყოფილებამ მიიღო ტფილისიდან გაგზავნილი ქაღალდები მხოლოდ სამი კვირის შემდეგ. გომბორი დაშორებულია რკინის გზას მხოლოდ 80 ვერსით. გარდა დაგვიანებისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც იკარგება კორესპონდენცია და გაგზავნილი გაზეთები. ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი ტფილისის მაზრაში—რესპუბლიკის ცენტრთან ახლო, რაღა ითქმის უფრო დაშორებულ მაზრებზე!

საჭიროა საფოსტო ქსელის მოწესრიგება, თუ გვინდა რომ გაზეთი სოფლად შევიდეს და გავრცელდეს. ჩვენ არ მოვითხოვთ საფოსტო განყოფილებების გამრავლებას, ეს მომავლის საკითხია, მხოლოდ მოწესრიგდეს მუშაობა უკვე არსებულ განყოფილებებში. თუ საფოსტო საქმე ვერ იქნა მოწესრიგებული, დიდხანს უნდა ველოდოთ გაზეთების ტირაჟის აწევას. ერთი კვირის გაზეთს ერთად მიღებულს იშვიათი გლეხი წაიკითხავს, მით უმეტესად ჩვენი გლეხკაცობა, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში გაზეთის კითხვის შეჩვევა სჭირდება. რამოდენიმე დაკარგული ნომერი გაზეთისა ხელის მომწერს ხელმეორედ გაზეთის გამოწერის ხალისს უკარგავს.

მაგრამ მარტო საფოსტო აპარატის მოწესრიგება არ არის საკმარისი გაზეთების გავრცელებისათვის, საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ მოეწყოთ ადგილობრივი აპარატი გაზეთების მიწოდებისა, ბეჭვდითი ექსპედიციის კონტრ-აგენტების სახით. მართალია, ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიციას რესპუბლიკაში ჰყავს ოცეული კონტრ აგენტი, მაგრამ ისინი უმთავრესად დაბებსა და ქალაქებში არიან, სადაც ადვილია უშუალოთ ფოსტით გაზეთების გაგზავნა. კონტრ აგენტები არა მარტო იქ არიან საჭირო, სადაც ფოსტა და რკინის გზა უდგება, არამედ ყველგან, სადაც კი გამოიძებნება პირი, რომელიც იკისრებს კონტრ-აგენტის მოვალეობას. უნდა შევეცადოთ, რომ ასეთი კონტრ-აგენტები ყველა თემში გვყავდეს.

კონტრ აგენტები უნდა იღებდენ როგორც ხელის მოწერას, ისე გაზეთების მიწოდებას ხელის მომწერთადმი, თვით გაზეთების მიღებას ფოსტიდან ან რკ.-გზის სადგურიდან. ამ საქმისათვის უნდა გამოვიყენოთ სოფლის ბიბლიოთეკის გამგენი, ქ-ხ სამკითხველოს ხელმძღვანელნი, სკოლების გამგენი ან მასწავლებლები. ეს საქმე მათთვის არ იქნება საძნელო, ხოლო ამ დამატებითი მუშაობისათვის კი მიიღებენ განსაზღვრულ პროცენტებს ექსპედიციისაგან. მატერიალურად მათ დაინტერესებამ შესაძლოა მოგვცეს ერთგვარი შეჯიბრება გაზეთების ხელის მომწერთა შოვნაში.

საჭიროა მოეწყოს ერთგვარი კონკურსი კონტრ აგენტებს შორის და მათ, ვინც უფრო მეტ ხელის მომწერს უშოვნის გაზეთს, უნდა მიეცეთ განსაკუთრებული ჯილდო.

ცხადია, საჭიროება დიდი შრომა და ენერგია ზემოხსენებული აპარატის მოწყობას, მაგრამ ეს დიდ ნაყოფს მოუტანს ჩვენი პრესის გავრცელების საქმეს, და ამიტომ შრომის გაწევა არ უნდა დავიშუროთ.

გ. მ.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 111. 112.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

ლონდონის კონფერენცია

კონფერენცია შეუდგა ვალების საკითხის განხილვას

ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მიიღებს სესხს.

კონფერენციის მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს

პლენარული სხდომა.

ლონდონი. 21 მაისი. გუშინ პონსონბის თავმჯდომარეობით შესდგა ინგლის-საბჭოთა კონფერენციის პლენარული სხდომა. ოფიციალური ცნობის თანახმად საბჭოთა დელეგაციას განუცხადებია, რომ იგი ამჟამად აზიარებს კონფერენციის მიერ გადასაწყვეტ ეკონომიური საკითხების ფორმულიროვკას. საბჭოთა დელეგაცია მზად არის გამოსთქვას თავისი შეხედულება მშვიდობიანობის დროის ვალებზე და არასვეთიური ხასიათის პრეტენზიების შესახებ. საბჭოთა დელეგაციამ წარუდგინა ბრიტანეთის დელეგაციას აგრეთვე მემორანდუმი ბრიტანეთის ბაზარზე რუსეთისათვის კრედიტების მიღების შესახებ. ბრიტანეთის დელეგაციამ უპასუხა რომ ის განიხილავს მემორანდუმს ამ საკითხის საერთო განხილვის წინ.

სესხის საკითხი.

ჩვენი მოთხოვნილება

საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ბრიტანელ ქვეშევრდომთა მიერ წამოყენებულ მშვიდობიანობის დროის პრეტენზიები დააკმაყოფილოს ინგლისისაგან მიღებულ გრძელვადიან სესხის თანხებიდან, უკეთუ იგი შესძლებს ამ სესხის მიღებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ იმ მოქალაქეთა პრეტენზიები, რომელთაც რუსეთის ფასეული ქაღალდები და ქონება შეიძინეს 1917 წლის 12 მარტამდე. მხედველობაში არ იქნება მიღებული აგრეთვე იმ პირთა პრეტენზიებიც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა მთავრობა შემდეგი წესით აწარმოებს პრეტენზიების დაკმაყოფილებას: პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნება წვრილი პრეტენზიები და შემდეგ კი მსხვილი. სესხის უდიდესი ნაწილი დახარჯული იქნება ბრიტანეთში საბჭოთა მრეწველობის და მიწად-მოქმედების აღორძინებისათვის საჭირო მანქანების და სხვა მასალის შესაძენად.

ინგლისის პასუხი

ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადებები უფრო ვრცლად უნდა იქნან განხილული, სანამ მათ შესახებ აზრის გამოთქმა იქნებოდეს შესაძლებელი, მაგრამ ახლავე უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ იმისა, თუ რა დახმარების გაწევა არ შეუძლია ინგლისის მთავრობას ამ საკითხში, ის მაინც ვერ მისცემს ამის საბოლოო გარანტიებს.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციას მიეცა კითხვა, მოყვება თუ არა სამხედრო ვალების ცნობას საბჭოთა მთავრობის მიერ ვალებზე პროცენტების გადახდის ვალდებულების მიღება და აგრეთვე ამ პროცენტების გადახდის განახლება.

ჩვენი პასუხი.

საბჭოთა დელეგაციამ უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობას არა აქვს აზრათ სრული რაოდენობით გადაიხადოს თავისი ძველი ვალები. საბჭოთა მთავრობა თვლის, რომ განვლილი დროის პროცენტები უნდა ჩამოიწეროს, ძირითადი პროცენტები კი შემცირებული იქნას.

დელეგაციამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის შემოსავალი შეამცირა საერთაშორისო და სამოქალაქო ომმა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. უწინდელ კონფერენციებზე საბჭოთა კავშირის მევალეები მზად იყვნენ მიეცათ საბჭოთა კავშირისათვის მორატორიუმი, მაგრამ ამჟამად საბჭოთა მთავრობა მზად არის დაიწყოს ვალების გადახდა. საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ რუსეთის ფასიანი ქაღალდების მეპატრონეთა დაკმაყოფილება შეიძლება მაშინვე, როგორც კი მიღწეული იქნება შეთანხმება. დელეგაცია მოითხოვდა, რომ ინგლისის მთავრობამ ყოველ მხრივ უნდა შეუწყოს ხელი სესხის გამოშვებას, რომელიც შესაძლებლად გახდის საბჭოთა მთავრობისათვის ომის ვალების გადახდას, საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას და აგრეთვე ხელს შეუწყობს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას, რაც თავის მხრივ მოაწესრიგებს ინგლისში უმუშევრობის საკითხს.

საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ სესხის განაღდებაში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის მონაწილეობა გარანტიას იძლევა სესხის უზრუნველყოფის საქმეში.

სესხის საკითხი.

ინგლისის დელეგაციამ გამოთქვა, რომ შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე გარანტიებზე ინგლისის მთავრობის სახით. ინგლისის დელეგაციას იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა შესძლებს ამ სესხის მიღებას, რომელზედაც ლაპარაკია. სესხი გადიდებს საბჭოთა კავშირის ბანკის კრედიტს, სესხი აგრეთვე ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღდგენას. ინგლისის მთავრობა მზად იქნება შეუწყოს ხელი სესხის გამოშვებას.

ამის საპასუხოთ საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ მას სურვილი აქვს განიხილოს ამ საკითხის განხილვა იმ შემთხვევაში, თუ უწინდელი აღმოჩნდება მოლაპარაკება იმ მიმართულებით, რომელსაც ინგლისის დელეგაცია მიუთითებს.

რაც შეეხება ორივე მხარის პირად პრეტენზიებს, საბჭოთა დელეგაცია სავსებით ეთანხმება იმ მეთოდებს, რომლებიც ინგლისის დელეგაციამ წამოაყენა უკანასკნელ სხდომაზე საკითხის გადასაჭრელად.

საფრანგეთის ამბები

ერთი და იგივე.

პარიზი. 19 მაისი. კონსერვატიული „ფიგარო" აღნიშნავს, რომ ერიო ლაპარაკობს ისე, როგორც პუანკარე, რასაც „იუმანიტე" ეთანხმება. ფინანსიურ ეკონომიური სააგენტოს აზრით, ერიოს და პენლევეს განცხადების მიხედვით შესაძლებელია ნდობის გამოცხადება მომავალ მთავრობისათვის.

ფრანკი შეუჩერებლად ეცემა.

პარიზი. 19 მაისი. გრძელდება ფრანკის კურსის დაცემა.

ვინ ემხრობა საბჭოთა კავშირის ცნობას.

პარიზი. 19 მაისი. მემარცხენე ბლოკში შემავალ პარტიებიდან მხოლოდ სოციალისტები, ალბად, კომუნისტების გავლენით, მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობას, მაგრამ სოციალისტების მონაწილეობა მთავრობაში—ჯერ კიდევ საეჭვოა.

საფრანგეთის კომპარტიის დეკლარაცია.

პარიზი. 19 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიამ მიმართა რუსეთის კომპარტიის მეცამეტე ყრილობას დეკლარაციით, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის კომპარტია თვით გაჩაღებული საარჩევნო ბრძოლის დროსაც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს რუსეთის კომპარტიაში წარმოშობილ კამათს იმ საკითხების გამო, რომლებიც დასმულია მეცამეტე ყრილობაზე.

საფრანგეთის კომპარტიის ცეკა მიემხრო რუსეთის კომპარტიის ცეკას ხაზს. საფრანგეთის კომპარტია ფიცს სდებს, რომ არ გადაუხვევს ლენინის ანდერძს და უფრო მტკიცეთ და გაბედულათ გასწევს მსოფლიო რევოლიუციის განხორციელებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინიზმს! გაუმარჯოს რუსეთის კომპარტიას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

იტალია და ბელგია

პარიზი. 19 მაისი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ბელგიის მინისტრებმა ტეუნისმა და გიმანსმა განაცხადეს, რომ იტალიის და ბელგიის მთავრობები ცდილობენ სასწრაფოდ იქნეს მიღწეული საერთაშორისო შეთანხმება. ბელგიის მთავრობას იმედი აქვს, რომ ადრე იქნება მოწვეული მოკავშირეთა კონფერენცია რეპარაციების საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად.

ბელგიის მოღვაწეთა „პატიოსნება"

გასამართლება სამშობლოს დაღალატებისათვის.

პარიზი. 19 მაისი. ბრიუსელის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში დაიწყო ბელგიელ მრეწველის კოპეს გასამართლება. კოპეს ბრალად ედება ბენზოლის მიწოდება გერმანიის არმიისათვის მსოფლიო ომის დროს. ბელგიის მთავრობამ წარადგინა სარჩელი 55 მილ. ფრანკზე ბელგიისათვის მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად. ფიქრობენ, რომ ეს პროცესი სახელს გაუტეხს ზოგიერთ სახელმწიფო და გამოჩენილ კათოლიკურ მოღვაწეებს.

რა ხდება გერმანიაში

გრძელდება მაღაროს მუშათა გაფიცვა

ინგლისის ბანკირები აპირებენ გერმანიისათვის სესხის მიცემას

ინგლისის პრესა ირწმუნება, რომ გერმანია განაგრძობს ფარულად შეიარაღებას

რურში.

ბერლინი 21 მაისი. გერმანიის ნაციონალური ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარემ დაავალა ექსპერტებს მოხსენების შემუშავება იმ საკითხებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს კონფლიქტს რურის მემაღაროებსა და მწარმოებლებს შორის. მაღაროების რაიონებში, გაფიცულ მემაღაროების ბავშვებსა და ცოლებს შორის შიმშილობის თავიდან ასაცილებლად, გახსნა უფასო სასადილოები. სულ გაფიცულია 600 000 მემაღარო.

ოკუპაცია და საფრანგეთი.

ბერლინი. 21 მაისი. საფრანგეთის ჯარებმა რეკვიზიცია უყვეს დიუსელდორფში მთელ რიგ საზოგადოებრივ შენობებს, მათ შორის ხელოვნების სასახლეს და აგრეთვე ბარაკებს ზოოლოგიურ ბაღში. ამ შენობებში მოთავსებულია საოკუპაციო ჯარების არტილერია.

ინგლისელ ბანკირების სესხი გერმანიას.

ბერლინი. 21 მაისი. ინგლისელ ბანკირების ერთი ჯგუფი არჩევს საკითხს გერმანიის ზოგიერთ ქალაქებისათვის სესხის მიცემის შესახებ.

გერმანია იარაღდება.

ლონდონი. 21 მაისი. „დეილი მეილი" დღევანდელ ნომერში აქვეყნებს მთელ რიგ ფაქტებს გერმანიის ახლანდელ სამხედრო მდგომარეობის შესახებ. გამოქვეყნებულ ფაქტებიდან სჩანს, რომ გერმანია არა თუ განიარაღდა მოკავშირეების მიერ დაკისრებულ ვალდებულების თანახმად, არამედ პირიქით ის აშკარად გვერდს უხვევს ვერსალის ხელშეკრულების მთელ რიგ მუხლებს. ირკვევა, რომ გერმანიის გენერალური შტაბი აღდგენილია და გერმანიის არმია საგრძნობლად აღემატება ხელშეკრულებაში აღნიშნულ რაოდენობას, რომელიც უნდა უდრიდეს 100,000 კაცს, რომ გერმანია იწყებს ზარბაზნების და სამხედრო მასალების დამზადებას. გერმანიის ინჟინრები ახდენენ ცდებს გაზის ახალ ტყვიისმფრქვევლებზე და ტანკებზე.

პარიზი. 21 მაისი. ბერლინიდან მიღებული ცნობით შტეტინის მახლობლად აღმოაჩინეს დამალულებით 30 ტყვიისმფრქვეველი და სამხედრო მასალები, რომლებიც ეკუთვნოდა უკიდურეს ნაციონალისტებს.

არაჩვეულებრივი ქარიშხალი ბერლინში.

ბერლინი. 21 მაისი. ბერლინში ამოვარდა არაჩვეულებრივი ქარიშხალი. მეხი დაეცა ქალაქის ელექტრონის სადგურს; რის გამო ცეცხლი გაუჩნდა ნავთის უდიდეს ავზს.

გერმანიის კ. პ. ც. კ-ის წევრის დაპატიმრება.

ბერლინი. 19 მაისი. ბერლინში დაპატიმრებულია გერმანიის კომ. პარტიის ც. კ-ის წევრი (გვარი დამალულია), რომელსაც ბრალად უდება სახელმწიფო ღალატი.

ჰანოვერის სეპარატისტები.

პარიზი. 19 მაისი. ჰანოვერის მცხოვრებლებს დაეკითხნენ, სურთ თუ არა მათ ამ პროვინციის გამოყოფა პრუსიიდან და ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა; დაკითხვამ დამარცხება მოუტანა სეპარატისტებს. გერმანიის პრესა ჰანოვერის სეპარატისტულ მოძრაობას ჩაქრობილად სთვლის.

რედაქტორის დაპატიმრება.

ბერლინი. 19 მაისი. შტუტგარტში დააპატიმრეს კომუნისტური გაზ. „შტუტგარტის არბაიტერ ცაიტუნგ"-ის რედაქტორი ლედერი, რომელსაც ბრალად დასდეს სახელმწიფო ღალატი.

ჩვენ და უცხოეთი

ინგლისი

ლონდონი 19 მაისი. საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილების თანახმად ინგლისის სასამართლომ შეაჩერა გემი „იუპიტერ"-ის „როპიტ"-ისათვის დაბრუნების შესახებ გამოტანილ დადგენილების სისრულეში მოყვანა. („როპიტ" ი არის „რუსეთის საზღვაო მიმოსვლის და ვაჭრობის საზოგადოება").

ა. წ. მარტში „იუპიტერ"-ის კაპიტანმა გამოჰკიდა გემზე წითელი დროშა და გადასცა გემი საბჭოთა წარმომადგენლობას ლონდონში. პარიზში მყოფმა „როპიტ"-ის გამგეობამ მოახერხა ინგლისის სასამართლოში საქმის მოგება. ეხლა კი ეს დადგენილება გაუქმებულია საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ.

ამერიკა

ნიუ იორკი. 19 მაისი. მრეწველობის ნაციონალური ასოციაციის კონფერენციაზე ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების დირექტორმა დიურენმა განაცხადა, რომ ამერიკის მონაწილეობა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობაში აღემატება ომის წინანდელს, მაგრამ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა საგრძნობლად გადამეტებულია. „ივნინგპოსტ"-ი ეწინააღმდეგება ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.

„არკოს"-ის ამერიკის განყოფილების თავმჯდომარემ შორმანმა მიუთითა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღორძინებაზე და ყველაზე ხელსაყრელ პირობებზე, რომლებიც ეძლევა ამერიკას საბჭოთა კავშირის აღორძინების საქმეში.

ოსმალეთი.

სტამბოლი 19 მაისი. „ლი გაზეტ" მოწინავე წერილში, რომელსაც აწერია ლონდონის კონფერენციაზე მყოფ ოსმალეთის დელეგაციის მდივნის რუშტ საფეტს, აღნიშნავს ჩიჩერინის დადებით პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ; გაზეთი უარყოფს უთანხმოების შესაძლებლობას საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის. გაზეთი აცხადებს, რომ ოსმალეთი სრულ ნეიტრალიტეტს დაიცავს ბესარაბიის საკითხში.

იაპონია

ტოკიო. [illegible] 19 მაისი. ნამსახურებთან საუბრის დროს ვიკონტ გოტომ განაცხადა, რომ მისწრაფება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისაკენ იმ ზომ გრძნობიერია, რომ [illegible] იაპონიაში არავის წინააღმდეგობა არ გამოუწვევია ახლანდელ პრემიერ ხიურის მიერ მოლაპარაკების დაწყებისათვის, მიუხედავად საერთო ოპოზიციისა მის წინააღმდეგ.

საფრანგეთი.

ოდესა. 21 მაისი. საფრანგეთიდან ჩამოსული რუს-მეზღვაურები ამბობენ, რომ ემიგრაციის წრეებში დიდი აურ-ზაურია: ემიგრანტები მოელიან საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას. საზოგადოება „როპიტ"-ის მეთაურები ცდილობენ საჩქაროთ დააგირავონ ბანკებში საზოგადოების ქონება, მაგრამ ბანკები რუსეთის ცნობის მოლოდინში უარს აცხადებენ გირაოს მიღებაზე.

ურთიერთობა ოსმალეთთან

მოსკოვი. 21 მაისი. რუსეთ-აღმოსავლეთის პალატის საბჭოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ოსმალეთში მყოფ სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ივანოვმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოსმალეთი არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენს ჩვენი ნავთისადმი, რომელიც ღირსებითაც სჯობს ამერიკის ნავთს და უფრო იაფიც ღირს. ნავთის სინდიკატი „არკოს"-თან ერთად აწარმოებს ოსმალეთში ჩვენი ნავთის გაყიდვას. გასულ წლის განმავლობაში ოსმალეთში გაიყიდა დაახლოვებით 100,000 ტონა ჩვენი პური. პურის მოთხოვნილება ოსმალეთში განისაზღვრება 250,000 ტონით; ჩვენს პურს ვერც ამერიკა და ვერც რუმინეთი ვერ უწევს კონკურენციას.

ოსმალეთის ბაზარი გამოსადეგია ხე-ტყის მასალის, შაქრის, ლითონის, სასოფლო სამეურნეო იარაღების, საფეიქრო და რეზინის ნაწარმოების, მუშებულობის და სხვ. ექსპორტისათვის, მაგრამ საჭიროა ფასების დაწევა ამ საქონელზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უცხოეთის ფირმები, ოსმალეთის ნაციონალისტურ მისწრაფებების გამო, ამცირებენ სავაჭრო აპარატებს და გადააქვთ ვაჭრობა სხვა ქვეყნებში.

კრებამ საჭიროდ სცნო დაარსდეს რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატასთან საგანგებო სექცია, რომელიც გაატარებს ცხოვრებაში დელეგაციის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს ოსმალეთთან ვაჭრობის გასაცხოველებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა იაპონიაში

საუბარი ამხ. კატაიამასთან

გამარჯვებული „დემოკრატია“

მოსკოვი 21 მაისი. კომინტერნის აღმასკომის წევრმა კატაიამამ „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ არჩევნებში მთავრობის პარტიების დამარცხების გამო, ოპოზიციონურმა პარტიებმა—კენსეკაიმ, სეიუკაიმ და კაკუშინის კლუბმა მიიღეს პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა. კიურას მილიტარისტული მთავრობა უნდა გადადგეს და დაუთმოს ძალაუფლება ოპოზიციას, უმთავრესად კენსეკაის—კატოს მეთაურობით, რომელიც ალბათ მომავალი მთავრობის პრემიერი იქნება.

მაგრამ შესაძლებელია, რომ მეფე დაითხოვს ახალ პარლამენტს.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ ჯენრო, მეფის ერთი გავლენიანი მრჩეველთაგანი, მოახერხებს მთავრობის პარტიისა და კენსეკაის შორის შეთანხმების მიღწევას, ძალაუფლების ურთიერთ შორის გასანაწილებლად.

დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას, საეჭვოა, რომ ახალმა მთავრობამ დააჩქაროს საბჭოთა მთავრობის ცნობა მაგრამ ის წინა მთავრობაზე უფრო მეტის თანაგრძნობით შეხვდება საბჭოთა კავშირთან დაახლოვების საკითხს. შესაძლებელია კიდევ, რომ იაპონიის ძველი მთავრობა შეეცდება დადვას სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან იმ მოსაზრებით, რომ უფრო ხელსაყრელ პირობებს მიაღწევს მოლაპარაკების დროს.

ყოველშემთხვევაში, ახალი მთავრობა უფრო მშვიდობიანად იქნება განწყობილი, ვიდრე ძველი, რადგან მრეწველები, რომელთა ხელში უნდა გადავიდეს ახლა ძალაუფლება, დაინტერესებული არიან სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაში.

კიურას მთავრობის დამარცხება დამამტკიცებელია იმის, რომ იაპონიის ფართო მასები უკმაყოფილო არიან მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკით.

სხვადასხვა ამბები

● **გლეხთა მოძრაობა რუმინეთში.** გლეხების მოძრაობა რუმინეთში ძლიერდება ქალაქ პიატრას მიდამოებში გლეხებმა დაიჭირეს მსხვილი მამულები, გაინაწილეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და განდევნეს მცველები. სამხედრო დამსჯელი რაზმი, რომელიც გაგზავნა მთავრობამ გარეკა აჯანყებულმა გლეხებმა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ცულებით და ნამგლებით.

● **აჯანყებები პოლონეთში.** აჯანყებების ტალღა პოლონეთის განაპირა რაიონებში ძლიერდება განსაკუთრებით აქტივობას იჩენს აჯანყებულთა რაზმი, რომელსაც ვინმე მახალსკი მეთაურობს. ეს რაზმი ნამდვილ ბრძოლებს უმართავს ცხენოსან პოლიციას.

● **ადგილობრივი პარლამენტები.** ინგლისის მთავრობა იწვევს პარტიების წარმომადგენელთა თათბირს, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ინგლისში, შოტლანდიაში და უელსში ადგილობრივი პარლამენტების დაარსების შესახებ.

● **მონღოლეთის მთავრობის თავმჯდომარის გარდაცვალება.** გარდაიცვალა მონღოლეთის მთავრობის თავმჯდომარე ბოგდო ხანი. პარლამენტის მოწვევამდი ძალაუფლება სახალხო წარმომადგენლების ხელში გადავიდა.

● **ინგლისელების წინააღმდეგ.** იერუსალიმიდან (პალესტინა) იუწყებიან, რომ ბედუინებმა ქ. გაზის ახლო მოკლეს ორი ინგლისელი ოფიცერი.

● **აჯანყება ალბანეთში.** ბელგრადიდან მიღებული ცნობით ჩრდილოეთ ალბანეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა ხელთ ჩაიგდეს სკუტარი და სხვა ქალაქები.

● **დედამიწის გარშემო აეროპლანით.** ფრანგი მფრინავი პელეტიე დ'უაზი, რომელიც მონაწილეობას იღებს აეროპლანებით დედამიწის გარშემო მოგზაურობაში, ჩაფრინდა შანხაიში, სადაც ის მიიღო სამხრეთ-ჩინეთის პრეზიდენტმა სუნ იატსენმა.

● **მინისტრების თათბირი.** გაიხსნა ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის პრემიერ მინისტრების თათბირი.

● **კულიჯს ანგარიშს არ უწევენ.** ამერიკის კონგრესმა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით კვლავ მიიღო კანონპროექტი ომის ვეტერანებისათვის პენსიების მიცემის შესახებ.

● **ინგლისელი კომუნისტები მაკდონალდის შესახებ.** ინგლისის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე, რომელიც გაიხსნა გუშინ ლონდონში, ყრილობის დელეგატებმა მაკდონალდის მთავრობას უწოდეს რეაქციონური, ხოლო პირადათ მაკდონალდს იმპერიალისტი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ქორწინება

მოსკოვი 21 მაისი. იუსტიციის სახალხო კომისარიატის განმარტების თანახმად, საეკლესიო ქორწინებები, რომელიც მოხდა 1917 წლის 20 დეკემბრის შემდეგ იმ ადგილებში, რომლებიც ამ დროისათვის დაკავებული იყვნენ თეთრგვარდიელების მიერ, ძალაში რჩება „მმაჩ“-ში გატარებულ ქორწინებებთან ერთად.

კოოპერაციებში ითვლება 6900000 წევრი

მოსკოვი 21 მაისი. „ცენტროსოიუზის“ ცნობებით, კოოპერაციაში ამ ჟამათ ითვლება 6.900.000 წევრი.

უკრაინა

სტუდენტების გამოცდა

ხარკოვი 21 მაისი. ამ დღეებში უკრაინის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყება სტუდენტების გამოცდა.

წითელი დროშის ორდენი—ლუგანის მუშებს

ხარკოვი 21 მაისი. უკრაინის ცაკმა დაადგინა დაჯილდოვებულ იქნენ წითელი დროშის ორდენით ლუგანის მუშები, რომელთაც დიდი რევოლიუციონური ღვაწლი მიუძღვით თეთრგვარდიელების საწინააღმდეგო ბრძოლაში. რევოლიუციონური დახმარებისათვის დაჯილდოვებულ იქნა აგრეთვე 16 ღარიბი გლეხი.

ჩვენ შევქმნით წითელ ქიმიას

მოსკოვი 20 მაისი. დიდ თეატრში შესდგა ქიმიური თავდაცვის და ქიმიური მრეწველობის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრნენ საბჭოთა კავშირში მყოფ ყველა რესპუბლიკების, პროფკავშირების, წითელი არმიის, პროლეტარული სტუდენტობის, პროფესურის და მუშების წარმომადგენლები. საზოგადოების ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტროცკიმ, რომელსაც მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ.

ამხ ტროცკის მოხსენება.

„დღევანდელი კრება, სთქვა ამხ. ტროცკიმ,—უეჭველად იქნება აღნიშნული, როგორც დასაწყისი საბჭოთა კავშირის ახალი „ჯოჯოხეთური, იმპერიალისტური“ ზრახვისა [illegible] განათლებულ და კაცთმოყვარე კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს კიდევ არაფერი; ჩვენმა მტრებმა ჯერ კიდევ ამ კრებამდე მოასწრეს ყველაფერის თქმა, რაც კი შეეძლოთ. მაგალითად თეთრი პრესა სწერს, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ომის საფრთხის კერას, რომ საბჭოთა კავშირში შენდება ქიმიური ფაბრიკები, არსდება ქიმიური ტრესტები გერმანიის ტეხნიკოსების ხელმძღვანელობით. მაგრამ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს მტრების ცილისწამება. ქიმიურ თავდაცვის და ქიმიურ მრეწველობის მეგობართა საზოგადოების დაარსება დროულია თვით ეხლაც, როდესაც ინგლისში და საფრანგეთში წარმოიშვენ პაციფისტური მთავრობები უკანასკნელები მილიტარიზმის საკითხებში არაფრით არ განირჩევიან მილიტარისტულ მთავრობებისაგან.

ავიაცია და ქიმია აქცევენ მომავალ ომს ხალხთა ომად, სპობენ რა განსხვავებას არმიასა და მოსახლეობას შორის. არ არის მართალი, თითქოს საბჭოთა კავშირში მუშაობდენ ძლიერი ქიმიური ტრესტები. სამხედრო-ქიმიური მრეწველობა ჩვენ მხოლოდ ეხლა უნდა შევქმნათ. მაგრამ თუ ჩვენ მას შევქმნით მხოლოდ თავდაცვის მიზნით, ჩვენი ამოცანა არ იქნება დაძლეული. ჩვენ ეს მრეწველობა უნდა გამოვიყენოთ მშვიდობიან აღმშენებლობისთვისაც.

აუცილებლად უნდა განვუმარტოთ მშრომელთა მასებს, თუ როგორი მრისხანე საფრთხე მოელის მათ. ლაპარაკი საფრთხეზე—ნიშნავს მისი გამანადგურებელი ძალის შესუსტებას.

ქიმიური მრეწველობა უნდა შეიქმნეს და ის კიდეც შეიქმნება.

პარტიული ცხოვრება

გერმანიის კომპარტიის მისასალმებელი წერილი

მოსკოვი, 21 მაისი. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის [illegible] პოლიტბიურომ რუსეთის კომპარტიის ცეკას და პარტიას მომავალ მე-13 ყრილობის გამო გაუგზავნა მისასალმებელი წერილი, რომელშიაც აღნიშნავს: „გერმანიის მუშები თანდათან გაძლიერებული სიყვარულით ეკიდებიან რუსეთის რევოლიუციას და იმ პარტიას, რომელიც ანხორციელებს ამ რევოლიუციას. შტრეზემანის და მისი სოციალდემოკრატიული დამქაშების თავხედური პროვოკაცია გერმანიის პროლეტარიატს მიუთითებს ახალ საშიშროებაზე, რომელიც მოელის საბჭოთა კავშირს. გერმანიის პროლეტარიატი ვერ მოითმენს ასეთ ავანტიურებს.

გერმანიის კომუნისტური პარტია მზად არის, როგორც კი დამკრავს საათი, შეტევაზე წაიყვანოს პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. გერმანიის კომპარტია მიზნათ ისახავს რაც შეიძლება ჩქარა განახორციელოს გერმანიაში სოციალური რევოლიუცია, რომ შექმნას საბჭოთა კავშირთან ერთად მთლიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“.

მენშევიკის განცხადება

როგორ მოკლა მენშევიკების ცეკამ ძველი რევოლიუციონერი, პატიოსანი, შეგნებული მუშა ამხ. გიორგაძე

ყველამ გაიგონეთ

მენშევიკების სრული სიყალბე

სრული ოთხთვე ნახევარი გავატარე საქართველოს საგანგებო კომისიაში კარცერში ჩაკეტილი. სხვა მძიმე ბრალდებათა შორის, რომელსაც მე მიყენებდენ, მთავარი ჩემი ბრალდება ილარიონ გიორგაძის მოკვლას შეეხებოდა. ამ ხნის განმავლობაში საგანგებო კომისია სასტიკ კვლევაძიებას აწარმოებდა ჩემზე, მაგრამ მე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვსცდილობდი არაფერი დამეტეხნა ისეთი, რაც უმისოდაც იდეოლოგიურათ გაკოტრებულ მენშევიკების პარტიას პრესტიჟს დასცემდა და ერთხელ კიდევ დაამცირებდა. თუმცა ჩემშიაც ირყეოდა რწმენა და სიმპატია სოციალ-დემოკრატიულ პარტიისადმი, მაგრამ ვიტყვი, რომ ჩემს თავდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო დიდი, ვინემ მკითხველი წარმოიდგენს.

მაგრამ გავიდა საკმარისი დრო. ერთ დროს გამაგრებული მომენტი სიმშვიდემ შესცვალა. მუშების აღშფოთებული გული დამშვიდდა, რადგანაც მათ შეგნებულათ გაიწიეს ანგარიში სხვის შეუგნებლობას და სრული იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი გულწრფელი სიტყვა არ გამოიწვევს კვლავ ღელვებას, მხოლოდ მას ექნება უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სინამდვილისათვის.

ამას გარდა მე საშუალება მომეცა ქვეყნისი მასწავლებლის სეით დევდარიანის ახალი გზის სისწორეზე, რომ ერთხელ და სამუდამოთ ზურგი მე [illegible] მენშევიკების სრულ სიყალბეზე აღმოცენებულ, მაგრამ ლამაზი სიტყვებით შემკობილ ლოზუნგებისათვის.

„დემოკრატიზმი“ რეაქციონური შინაარსით გაივსო

ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს ყოველგვარი დემოკრატიზმი და რეფორმიზმი რეაქციონური შინაარსით გაივსო. განა კიდევ ნახავთ დღეს ისეთ აზრგაყოფილ სოციალ-დემოკრატს, რომელსაც არ ესმოდეს თავისი შეცდომა და არ იცოდეს სად არის გამოსავალი გზა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თუ ვინმეს არ სურს გაიგოს დღევანდელი სინამდვილე, ეს მოუვა მას უშინაარსო, მშრალი თავმოყვარეობით და ამის შედეგი იქნება ერის შეგნებული ღალატი.

გახრწნილი და პოლიტიკურათ მკვდარი სოციალ-დემოკრატია

დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტია საბოლოვოთ არის გახრწნილი და ის პოლიტიკურათ მოკვდა, რადგანაც მისი რიგები დატოვა თითქმის ყველა მუშამ. გვიან თქმა სჯობს უთქმელობას და ვინც დღეს არ აღიარებს თავის შეცდომებს, ის კვლავ განაგრძობს პროლეტარიატის ღალატს. დროა ყველამ თავი დავანებოთ ცრუ იმედებს და ლოზუნგს. დროა გულწრფელად დავდგეთ პროლეტარიატის დროშის ქვეშ და ერთგული თანამშრომლობით ხელი შევუწყოთ საქართველოს კულტურულ ეკონომიურ აღორძინებას. წინააღმდეგობა—ეს ღალატი იქნება, რისთვისაც სასტიკი პასუხისმგებელი ვიქნებით რევოლიუციის წინაშე.

მე ვიჯექი საგანგებო კომისიაში დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებიდან ამა წლის მაისის შუამდის და მთელი ამ ხნის განმავლობაში მე აქ „არ ვიცის“ მეტი არაფერი მითქვამს. სინიდისის წინაშე ვიტყვი, რომ მე არ შევუშინდებივარ არავითარ ძალდატანებას და არც რაიმე ცუდი შედეგების მოლოდინს. დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი და შეცდომის აღიარებას მთხოვდა რევოლიუციონური სინდისი. მაგრამ მე არ მინდოდა ის, რასაც აქ ვამბობ, დამეწერა ჩეკის კედლებში, ვინმეს რომ არ ეთქვა, რომ ეს მოხდა ძალდატანების ზეგავლენით. უკანასკნელათ ვითხოვე ს. დევდარიანის ნახვა და საგანგებო კომისიას აღუთქვი ყველაფერი მართლის გამომჟღავნება განთავისუფლების შემდეგ, რომ ვინმეს ეჭვი არ შეჰპაროდა. სეითმა მინახულა, მოხერხდა ჩემი განთავისუფლება და ამას ვწერ ჩემს საკუთარ ბინაზე.

ჩემი კავშირი მენშევიკების ცეკასთან.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე პარტიასთან არავითარი კავშირი არ მქონებია მთელი ერთი წლის განმავლობაში. 1922 წლის დასაწყისში მინახულა ერთმა არალეგალური ცეკას წევრმა და მთხოვა ჩავებმოდი არალეგალურ მუშაობაში. მე თანხმობა განუცხადე.

უნდა მომეწყო აჯანყება მილიციაში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ მინახულა ერთ ამხანაგთან ერთათ და მომცა დავალება, რომ დაუყოვნებლივ მომეხერხებინა შესვლა თანამშრომლათ თბილისის მილიციაში, დამეწყო იქ მუშაობა, მომეწყო ყველა სამილიციო რაიონებში სამეულები, გამეწმინდა მილიცია შემდეგის დაგვარათ სომხური ელემენტებისაგან და (ეს შესაძლებელი იქნებოდა სამეულების მოხერხებული ხრიკებით) როგორც ყველასათვის გასაგებია, გამევრცელებია არალეგალური ლიტერატურა, რის სისტემატიურათ მოწოდება აღმითქვეს. მილიცია ორგანიზაციულათ მზად უნდა ყოფილიყო აჯანყებისათვის და როგორც შეიარაღებული ძალას, მხარი უნდა დაეჭირა ჩვენთვის, შეეწყო ხელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებათ. აჯანყებას, მათი სიტყვით, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა; გარეშე ძალების დახმარების პერსპექტივებზედაც მიმითითეს.

ამ დირექტივების შემდეგ შევუდექი საქმეს და რამოდენიმე თვის განმავლობაში ვმუშაობდი. მაგრამ, სიმართლის თქმა სჯობს, რომ დიდის გაკეთება ვერაფერი შევძელი, რადგანაც მილიციის მთელი შემადგენლობის სიმპატია გადახრილი იყო არსებული ხელისუფლებისაკენ, მიუხედავათ იმისა, რომ მათი პირობები კიდევ არ იყო საგრძნობლათ გაუმჯობესებული.

სამსონ დობორჯგინიძე. ტერორიზმი. ბანდიტიზმი.

1923 წლის დასაწყისში (თვე არ მახსოვს) მივიღე ბარათი არალეგალური ცეკას ერთი წევრისაგან, სადაც მწერდა: „შენ დღეიდან იქნები დაკავშირებული უშუალოთ სამსონ დობორჯგინიძესთან და იმის საშუალობით მიიღებ ყოველივე დავალებებს, დღესვე ინახულე სამსონი და რაც გეთხრას, მასთან ერთად შეუდექი იმ საქმის საჩქაროთ შესრულებას“.

მეორე დღესვე ვინახულე სამსონი. მან მითხრა: „ჩვენ ცეკა გვავალებს, რომ მოვაწყოთ ერთი საიმედო ტერორისტული ჯგუფი, რადგანაც ტერორის შემოღებას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს. ამავე ჯგუფი უნდა ახდენდეს ექსპროპრიაციებს, რადგანაც პარტია განიცდის საშინელ მატერიალურ კრიზისს“.ო

დავეთანხმე თანაც გადავდგით საამისო ნაბიჯები.

დობორჯგინიძემ მოიყვანა ერთი ცნობილი ბანდიტი № ჩემთან და გამაცნო საიმედო პირათ. №-ს დავავალეთ ამხანაგების შერჩევა. მანაც სთქვა, რომ ჰყავს ორი საიმედო პირი. გავაკეთეთ ერთი ექსპროპრიაცია. ვემზადებოდით მეორესთვის. იყო დავალება ერთის მოკვლის,—მაგრამ არ მოხერხდა, რადგან გაიგო ილარიონ გიორგაძემ და განაცხადა: „თუ ასეთებს პარტიაში ადგილი ექნება, მე მ ტოვებ პარტიასო“. უნდა [illegible] ერთი სტამბა და სხვა ბევრი ასეთები.

ერთი სიტყვით მთელი ჩვენი მოქმედება გამოიხატებოდა საშინელ ბანდიტიზმში.

ილარიონ გიორგაძე

ილარიონ გიორგაძე, რომელსაც არ დავუშორებივარ მთელი ორი წლის განმავლობაში, წინააღმდეგი იყო პარტიის ასეთი გადაგვარებისა, ის ხმამაღლა იძახოდა ხოლმე: „შორს არ არის ის დრო, როდესაც პარტიის ასეთი ბრძოლის მეთოდი დაღუპვის გზაზე მიგვიყვანს“ ო.

გასული წლის ზაფხულში ილ. გიორგაძე და ს დობორჯგინიძე დაპატიმრა ხელისუფლებამ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეც დამიჭირეს შემთხვევით ახალგაზრდა მარქსისტების ცეკას წევრთან, ელიზბარიძესთან. ჩეკამ იცოდა ჩემი კავშირი გიორგაძესთან და დობორჯგინიძესთან და, დაკითხვის შემდეგ, ჩემი თხოვნით, მომათავსეს ერთ საკანში მათთან ერთად.

თვეზე მეტი ვჯექით ერთათ. ამ ხნის განმავლობაში ვეძებდით ახალ გზას. გვქონდა ხშირი ბაასი პარტიის შეცდომებზე. ილარიონი სწორ ანალიზს უკეთებდა პოლიტიკურ მომენტს. მან სისწორით გაითვალისწინა საერთაშორისო მდგომარეობა და უტყუარი დიაგნოზი დაუსვა რუსეთის დიდ რევოლიუციას და მასთან დაკავშირებით საქართველოს საკითხს. ის დაჟინებით ამბობდა: „რუსეთის ბოლშევიზმი თუ დამარცხდა, იქ აუცილებლად გამეფდება შავი რეაქცია და საქართველოც მის ბრჭყალებში მოექცევა. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირს ჩვენ სოციალისტურ რუსეთთან კავშირი უნდა გვერჩიოს“.ო. ილარიონმა გაბედულად დაგმო სოციალ-დემოკრატიული პარტია და გულწრფელად დადგა პროლეტარიატის წითელი დროშის ქვეშ.

დობორჯგინიძე არ ეთანხმებოდა, ილარიონს. ის ამბობდა: „შესაძლებელია სოციალ-დემოკრატიას მშრომელი ხალხი დაღუპვის გზაზე მიჰყავდეს, მაგრამ მე მაინც პრინციპიალურათ არ შემიძლია მივიღო საბჭოთა სისტემა და თანახმა ვიქნები ხელისმოწერაზე იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლების შემდეგ თავს ვიმართლებთ მით, რომ ჩეკამ გვაწამა და აუტანელი პირობების გამო იძულებული ვიყავით წავსულიყავით ასეთ დათმობაზე“.

ამაზე ილარიონმა საკადრისი პასუხი გასცა: „რა შუაშია პრინციპი თავმოყვარეობა და თუნდა პირადი „მეც“, თუ კი ხალხის ინტერესები მოითხოვს ერთის დაგმობას და მეორეს მიღებას. და მეორე, როგორ შეიძლება, რომ სოციალისტმა თავი იმართლოს იმით, რომ ჩვენ გვაწამეს, კიდეაც რომ იყოს დასაშვები ამის თქმა, ეს სიმართლეს იქნება მოკლებული. აქ ეხლა გრანდიოზული ნაბიჯის გადადგმა და საჭიროა, რომ ადამიანს ჰქონდეს უაღრესი გულწრფელობას თუ რომ არ შეგვიძლია შეგნებულათ დავეთანხმოთ ახალი პლატფორმის მიღებაზე, მაშინ ნებას მივსცემ თავს დამოუკიდებლათ ვიმოქმედო. მტყუანს და მართალს მომავალი გაასამართლებს“.

დიდი უთანხმოება იყო მათ შორის ახალი გზის არჩევის გარშემო ბოლოს დობორჯგინიძე დაეთანხმა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ბოროტის განზრახვით მოაწერეს ხელი განცხადებას და განვთავისუფლდით სამივე ერთათ.

ილარიონ გიორგაძე იყო არალეგალური პროფბიუროს თავმჯდომარე. ის იყო ქართველ მუშებს შორის დიდი ფიგურა. ის მუშის ნამდვილი განსახიერება იყო. ასეთი ბუმბერაზის პარტიიდან გამოსვლამ შეარყია მენშევიკების რიგები და ვერ ურიგდებოდნენ ამ მდგომარეობას.

ცეკას დავალებით დობორჯგინიძე ეძებდა გიორგაძის მოსაკლავათ

განთავისუფლების შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, დობორჯგინიძემ სასწრაფოთ მინახულა და მითხრა: „აკი წინააღმდეგი ვიყავი პარტიიდან გამოსვლის. ჩემი სიტყვები მართლდება. ჩვენი პატიმრობის დროს მდგომარეობას დიდი ცვლილება და ეტყობა ინტერვენციის შესაძლებლობა საგრძნობლათ გაუმჯობესებულა და გამარჯვების პერსპექტივები დიდია ეხლა საშინელ მდგომარეობაში ვარ, არც აქეთ, არც იქეთ. აუცილებელია ჩადგომა ისევ სოციალ-დემოკრატებში. ამისათვის საჭიროა გადასვლა არალეგალურ მდგომარეობაზე და ფურცლების გამოქვეყნება, რომ ჩვენ საშინლათ გვაწამეს ჩეკაში და აუტანელი პირობების გამო იძულებული ვიყავით ხელი მოგვეწერა. ეს მით უფრო დასაჯერებელი იქნება, რომ ნოე ხომერიკს უნახეს საზღვარ გარეთულ ბიუროსთან გაგზავნილი წერილის ასლი, სადაც სწერდა: „გიორგაძეს და დობორჯგინიძეს საშინლათ აწამებს ჩეკა და 7 დღეა სიმშილობენ“.

მე ამაზე არაფერი ვუპასუხე, ორივე გავეშურეთ ილარიონთან დობორჯგინიძემ მასთანაც გაიმეორა ზემონათქვამი სიტყვები.

ილარიონი ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ საშინლად გაბრაზდა და მან დობორჯგინიძეს უთხრა: „შენ მეგონე პოლიტიკური მოღვაწე და ნამდვილათ კი ყოფილხარ პოლიტიკური ბალღი ასეთი აზრი, მე მგონია, უკანასკნელ ბალღსაც კი არ მოუვა თავში. [illegible] ვერ გაიხარებს ის პარტია, სადაც შენ წევრათ იქნები. შენ ხარ პროვოკატორი, უნდა გითხრა სიმართლე, შენ უკვე ახდილი გაქვს პოლიტიკური ნამუსი და გირჩევნია დადგე ერთხელ და სამუდამოთ ყოველგვარ პოლიტიკის გარეშეო“.

გაბრაზებულმა სამსონმა ამაზე უპასუხა: „ასეთ დროს ღალატი ძვირად დაგიჯდება ამხანაგო ილარიონ“ და გავიდა გარეთ.

რამოდენიმე დღის შემდეგ დობორჯგინიძე მოვიდა ჩემთან და სთქვა, რომ მან გააკეთა მოხსენება არალეგალურ ცეკაში და საიდუმლოთ მითხრა: „თუ ილარიონი არ დაგვეთანხმება ერთ რამეზე, [illegible] დღე [illegible]“.

ამ დროს შემოვიდა ერთი უცნობი, რომელიც ჩემ ბინაზე ჰყოლოდა დობორჯგინიძეს დაბარებული

ეს აღმოჩნდა არალეგალური პირი—სოციალ დემოკრატი.

უცნობი მოკლეთ შეეხო იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ილარიონის პარტიიდან გულწრფელ გამოსვლას, მით უმეტეს ისეთ დროს, როცა დევდარიანი და ხომერიკი დაჭერილებია. სრული მოსალოდნელია პარტიის მთლიანობა საბოლოოთ დაანგრიოს ილარიონი ხელმძღვანელი იყო არალეგალური პროფბიუროსი, ამბობს უცნობი N. ილარიონს თბილისის მუშები უყურებენ დიდი სიმპატიით თურმე ილარიონი აპირებს მუშებში მოხსენებით გამოსვლას; მოსალოდნელია ერთხმათ გაჰყვენ, განსაკუთრებით რკინისგზის მუშები და ეს მომასწავებელი იქნება ჩვენი საბოლოო განადგურების. ბევრს არ გავაგრძელებ. მე გამაგზავნეს ილარიონთან შემდეგი დავალებით: ან გადავიდეს ის არალეგალურ მდგომარეობაზე, ან არავითარ შემთხვევაში არავითარი მოხსენება არ გააკეთოს და არ იკისროს ლიკვიდატორობა. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია სასტიკ პასუხს აგებინებსო.

მე ეს ყოველივე გადავეცი ილარიონს, მან მოკლედ მიპასუხა: „მე არავის არ ვუყურებ და გავაკეთებ იმას, რასაც მიკარნახებს ჩემი რევოლიუციონური სინდისიო“.

ეს პასუხი მე დობორჯგინიძეს გავაცნობე, რამაც მასზე საშინლათ იმოქმედა და მითხრა: „ჩემს არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლას მოითხოვს აუცილებლობაო“ და მთხოვა მეც გავყოლოდი და იქიდან ილარიონი მოგვენათლა საშინელი ბრალდებებით „ფურცლების“ საშუალებით. მაგრამ მე ამაზე კატეგორიული უარი განვუცხადე. მან უკანასკნელად მითხრა: „რაც მოხდა ამ მოლაპარაკების დროს არავის უთხრა და შენში მოკვდესო.“

ცეკამ მოკლა მუშა გიორგაძე

არ გასულა ერთი კვირა, 29 დეკემბერს მ. წინწილა დობორჯგინიძემ ილარიონი გაიტყუა ბინიდან და ქალაქის განაპირას ჩააბარა [illegible] [illegible]-ტერორისტებმა.

მუხანათების ორმა ტყვიამ მა გული, რომელიც ძგერდა კეთილდღეობისათვის.

მენშევიკების რიგები ბ ტებით არის სავსე

მესამე ტყვიას ჩემსკენ მომ ბატონო მენშევიკებო, მაგრამ მეშინია და სიმართლეს ვერ ლავ იქ, სადაც საჭიროა. შეიძლება, მეც მომთხოვოთ შები თქვენებურათ, მაგრამ რებ, რომ არ მეშინია. თქვე ლავთ ჩემ სხეულს, მაგრამ ებით ჩემს იდეას. განა შეუძლია მოჰკლას იდეა? გ ხიდან გამოსროლილი ტყვი დათ მოსწყვიტოთ პროლეტ წითელი დროშა? არა, ბ ასეთი ბრძოლის ტაქტიკით უფრო განადგურდებით და მუშათა კლასის ძალას გააძ

თქვენ საბოლოოთ დაამ თქვენი უძლურება, როდესაც რეთ ხელი უმანკო სისხლში.

ილარიონის ვერაგული მკვ აშკარა მაჩვენებელია იმის, რ შევიკების რიგები ბანდიტებით სავსე.

მე თქვენთან ყოფნა სამარც მიმაჩნია მას შემდეგ, რაც მჭვნდი თქვენს უნიადაგობაში.

ყოველი პატიოსანი ად უნდა მოსცილდეს ბანდ და ავანტიურისტების

განა შეუძლია დარჩეს ას ტიაში ის, ვისაც გული ოდნ მშრომელი ხალხის ინტერეს შეიძლება თვალები არ აუხ კი ჩასწვდება თქვენს გულის ტი იქ წაიკითხავს უამრავ ბეტ?

კმარა ხალხის მოტყუება. შე ის, რაც გაკეთეთ ჩვენი ბით და მომავალში ფართხალი რემ უკვე გონს მოსული კლასი არ გვაპატიებს ამ სალაა გვიპასუხებს სიმართლით

საქართველოს „დამოუკიდებ ძალიან ლამაზი სიტყვა, შინაარსით არაფერს შეიცავს ს ურს დასვენება. ის უკვე შე ლია საბოლოო გამარჯვების ყუდელში და საშინელი დაღუ წინააღმდეგ ბრძოლა.

ვათავებ რა ჩემს გულწრფელ ც დებას პრესაში, აღვნიშნავ არც ერთი პირი მე არ ბით არსად და დღიდან ამ გამოქვეყნებისა მე ვდგები ლათ კომინტერნის დროშას მთელი ჩემი უნარით ვემსახ მუშათა კლასის საბოლოო გამ ბას.

მოვუწოდებ ყველა შეგნებულ ნაგებს, სანამ გვიან არ არის, აქციონ ყოველგვარ ავანტ და დადგენ პროლეტარიატის წ ნეველ დროშის ქვეშ.

ვისაც ოდნავ გსურთ ქა ერის კეთილდღეობა, უნ გმოთ ძველი უნიადაგო გზ შოთა პლატფორმაზე მ შეუდგეთ საქართველოს კულ ეკონომიურ აღორძინებას.

უშანგი ლომი

ამიერ-კავკასიის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეების თათბირი

მოხსენებები ადგილებიდან

აფხაზეთი.

ეროვნული საკითხი აფხაზეთში ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია,—ამბობს აფხაზეთის წარმომადგენელი. მუშაობას გლეხთა მასსებს შორის ვაწარმოებთ ადგილობრივ მშობლიურ ენაზე, ადგილობრივ ენის მცოდნე მუშაკთა რიცხვი კი მეტად მცირეა.

მომხსენებელი ეხება სოფლის ყოფა-ცხოვრების საკითხებს და ამბობს, რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წინანდელი წოდებრივი დაყოფა. მაგალითად, ყოფილ თავისუფალ გლეხებისაგან წარმოშობილი ახალი თაობა არასოდეს არ შეირთავს ყოფილ ყმა—გლეხის ჩამომავლობის ქალს; თუ მტრულათ განწყობილ პირებისაგან ვინმე მივა გლეხთა კრებაზე, მეორე მისი მტერი უეჭველათ დასტოვებს კრებას, რადგან არ სურს მასთან ერთად გადაწყვიტოს საქმეები. ასეთი ჩამორჩენილობა მეტად ხელს უშლის მუშაობას. იძულებული ვართ მეტად დიდი ყურადღება მივაქციოთ აგიტაციის გაწევას ახალი ყოფა-ცხოვრების სასარგებლოთ.

აფხაზეთის გლეხს არ უყვარს სარწმუნოება, მაგრამ ის ცრუმორწმუნეა, ამიტომ ანტისარწმუნოებრივი კამპანიის მიზანი უნდა იყოს ბრძოლა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ.

მომხსენებელმა გააშუქა აგრეთვე კულტურული, განმანათლებელი და საშეფო მუშაობა.

წითელი არმია.

არმიის პოლიტიკურ სამმართველოს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგემ აღნიშნა, რომ მუშაობის პირობები არმიაში მეტად კარგია დისციპლინისა და გეოგრაფიის მხრივ, მაგრამ საშუალებებით ნაკლებობა ხელს უშლის მუშაობას.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა წითელარმიელთა შორის კარგად იყო დაყენებული, მუშაობაში ჩაბმული იყო წერა-კითხვის უცოდინარ წითელარმიელთა ყველა 100 პროც., მაგრამ საშუალებების უქონლობამ მიგვიყვანა იქამდის, რომ ზოგიერთი წითელარმიელები, თუმცა მეტად მცირე პროცენტი, მაინც წერა-კითხვის უცოდინარი დაბრუნდენ სოფლად.

არმიაში ფართოდ არის დაყენებული საკლუბო და მუშაობა „ლენინის კუთხეებში“.

პოლიტიკური მუშაობა სწარმოებს აგრეთვე უფროსთა შემადგენლობაში.

მეთოდიკის სფეროში მეტად დიდი მუშაობა იყო წარმოებული.

ეხლა ახალი წითელარმიელების ჩამოსვლის შემდეგ ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა ჩაბმული იქნეს უფროსთა მთელი შემადგენლობა პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში და მოწყობილი იქნეს სამხედრო პოლიტიკური მუშაობა.

განზრახულია მოწყობილი იქნეს „წითელი არმიის და ფლოტის“ სახლი და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კურსები. განზრახულია აგრეთვე სამხედრო პარტიული ამხანაგები ჩაბმული იქნენ თვითგანვითარების მუშაობაში, რომ ბრძანებების წესით მათ მიეცეთ მხოლოდ ყველაზე უფრო აუცილებელი ცნობები, დანარჩენი კი მათ თვითონ უნდა შეისწავლონ.

შეფობა წითელ არმიაზე ტფილისში კარგათ არის დაყენებული, მაგრამ სხვა ადგილებზე ის ვერ არის სათანადოთ მოგვარებული.

საბჭოთა პარტიულ სკოლების [illegible]

საბჭოთა პარტიულ სკოლების მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო მოხსენებებს აკეთებენ ამხ. ამხ. ორაგველიძე, რასულ ზადე და ხაჟაპურიძე.

ყველა ეს ამხანაგები ლაპარაკობდენ საბჭოთა პარტიულ სკოლების გასინჯვის შედეგების და სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდების შესახებ. ისინივე აკეთებდენ სათანადო დასკვნებს და წინადადებებს.

ასე, მაგალითად, ამხ. რასულ ზადემ წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ გაძლიერებული იქნეს პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოთა პარტიულ სკოლებში, სისწორით იქნეს გამორკვეული სასკოლო საბჭოების, საგნების კომისიების და სხვათა ფუნქციები, შემდეგ გაუმჯობესებული უნდა იქნეს სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, შედგენილი იქნეს კურსანტის სამუშაო დღის სია, გადაწყვეტილი უნდა იქნეს სკოლების მოწყობის საკითხი, სისწორით გამორკვეული უნდა იქნეს კურსანტების მიღების წესები და სხვა.

პროგრამულ მეთოდიურ კომისიის მუშაობა.

მოხსენება გააკეთა ამხ. რაბინოვიჩმა. ის თავის მოხსენებაში შეჩერდა სამოსწავლო გეგმის და საერთო პროგრამის შემუშავებაზე და წინადადება შეიტანა ქრესტომატიების და სხვა სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ მშობლიურ ენებზე.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია მომხსენებლის წინადადებამ მომავალი სამოსწავლო წლიდან ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან ლექტორთა ჯგუფის ანუ პედაგოგიური განყოფილების დაარსების შესახებ, იმ მიზნით, რომ მომზადებული იქნეს ლექტორთა ძალები საბჭოთა-პარტიულ სკოლებისათვის.

თათბირმა გადასწყვიტა მოხსენება მიღებულ იქნეს მხედველობაში, მომავალ სამოსწავლო წლის დაწყებამდი მოიწვიოს საბჭოთა პარტიულ სკოლების გამგეების თათბირი და ყველა მასალები საჭირო სახელმძღვანელოების შესადგენათ დააგროვოს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებულ მეთოდიურ კომისიაში იმ მიზნით, რომ მომავალი სამოსწავლო წლიდან დაიწყოს მათი გამოცემა.

გამოცემლობის საქმის შეთანხმების შესახებ

ამხ. დუშინსკიმ თავის თეზისებში წამოაყენა წინადადება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა გამომცემლობათა მუშაობის შეთანხმების შესახებ; მომხსენებლის აზრით გამომცემლობის საქმეს არ უნდა ჰქონდეს პარტიზანული ხასიათი.

თეზისებმა გაცხოველებული კამათი გამოიწვიეს, რის შემდეგაც თათბირმა წინადადება მისცა ამხ. დუშინსკის უფრო სისწორით ჩამოაყალიბოს და შეავსოს თეზისები, ამ უკანასკნელების მიღება გადაიდო თათბირის ბოლოსთვის.

სასოფლო მასწავლებლის კურსების მოწყობის შესახებ

მომხსენებელმა ამხ. შავერდოვმა თავის მოხსენებაში მიაქცია თათბირის ყურადღება მასწავლებლების მომზადების აუცილებლობაზე; მასწავლებლობა მომზადებული უნდა იყოს სოფელში პრაქტიკული მუშაობისათვის, ის ხელს უნდა უწყობდეს გლეხობის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას; მასწავლებლობა უნდა აწარმოებდეს მუშაობას კოოპერაციებს, გლეხთა კომიტეტებს, ანტირელიგიურ, კულტურულ შეფობას და სხვ. დარგებში.

თათბირმა საჭიროდ სცნო დაარსდეს უფრო კვალიფიციური კომუნისტ-პედაგოგებისაგან ბიურო, რომლის მოვალეობა იქნება მარქსისტული მიდგომით შეისწავლოს პედაგოგიური საკითხები და უხელმძღვანელოს მუშაობას მასწავლებლებს შორის. ბიურო უნდა მოეწყოს საოლქო და რესპუბლიკურ ცენტრებში კავშირებთან სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა ხელმძღვანელობით.

სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის მეთოდები

თეზისები, რომელიც წარმოადგინა ამხ. ესსენმა, მიღებულ იქნა საფუძვლად ზოგიერთი დამატებებით.

ილაპარაკა რა თავისი თ შესახებ, ამხ. ესსენმა აღნიშ საჭიროა ზოგიერთი ცვლ შეტანა ჩვენი აგიტაციის მ ისე, რომ ჩვენი აგიტაციის ლობა შეთანხმებული იქნეს პირობების პოლიტიკურ, ს და ყოფა-ცხოვრების მოთხ რაც უფრო აინტერესებს მ გლეხს; ჩვენ არ უნდა ვხე ლობდეთ კალენდარული პო რი მომენტებით, რომლებიც ბათ ეხებიან დღევანდელი ი ტერესებს.

ამას გარდა ამხ. ესსენი თებს იმაზე, რომ სოფლებში ნებიან ყველაზე სუსტი მუ საჭიროა იქ იგზავნებოდნენ უფრო განვითარებული ამხანა

სამტრედიის რაიონი

პარტიული მუშაობა მარტში და აპრილში

სამტრედიის სარაიონო პარტკომი აერთებს 10 კომუჯრედს, რომელთაგან 6 არის გლეხური (სოფლებში), სამი სატრანსპორტო (რკინის გზის ხაზზე) და ერთი საქალაქო.

საცდელ სანიმუშო მუშაობის წარმოების მიზნით რაიონში გამოყოფილია [illegible] უჯრედი.

ყველა უჯრედებზე მიმაგრებულია პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელთა მუშაობა ნაწილობრივ ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, მაგრამ პარტკომის მიერ მიღებული ზომების საშუალებით ეს მდგომარეობა გამოსწორდება.

მატერიალურად უფრო გაჭირვებული ამხანაგები არიან გლეხურ უჯრედებში.

საერთოდ პარტიული ამხანაგები იჩენენ აქტივობას, მონაწილეობას ღებულობენ არტელურ და კოლექტიურ მუშაობაში, რაც კარგ გავლენას ახდენს მშრომელ გლეხობაზე. ყოველგვარ დავალებებს პარტწევრები ასრულებენ თავის დროზე.

ცუდ მდგომარეობაშია არის სამკითხველოების საქმე. სულ რაიონში 14 სამკითხველოა. ამათგან 4 სრულიად უმოქმედოა და დანარჩენის უმეტესობაც სუსტათ მუშაობს.

სატრანსპორტო უჯრედები ვენ შეფობას გლეხურ უჯ სოფლებში, უწყობენ მათ და სხ. ეს საქმე თითქმის ა წყებულია და მის სათანადო ზე დასაყენებლად ამ ბოლო შედგა განსაკუთრებული კომისია.

ქალთა განყოფილების მუ ბოლო ხანებში გამოაცოცხლ აკავშირებს 200-მდე ქალს, არის 50 დელეგატი ქალი.

საანგარიშო ხნის განმავ განყოფილებამ მოაწყო ქალ კრება მეცადინეობით.

სამტრედიაში არსებულ წერ ხვის უცოდინარობის სალიკვიდ სკოლაში, რომელშიაც უმეტესად ვლობდენ ძაფის ამრთველი ქა ში მომუშავე ქალები, მეცად დამთავრდა აპრილში.

ახ. კომკავშირის უჯრედი 25. პარტკომსა და მათ შორის ყარებულია მჭიდრო კავშირი.

სატრანსპორტო უჯრედის ლიტ წრეს ხელმძღვანელობის სამაზრო პარტკომი.

მუშათა ცხოვრება

ულტურული მუშაობა ასეთი უნდა

დიდად აღსანიშნავია კულტმუშაობა № 1 გამსახლის თანამშრომლებს შორის. ჩვენს გამსახლს აქვს სადაც ოდ მორთულ მოკაზმული კლუბი, სადაც თანამშრომლების მიერ წარმოდგენა მიდის ყოველ ორ კვირაში, აქვს აგრეთვე ბიბლიოთეკა—სამკითხველო საუკეთესო მოწყობილი წიგნებით და რევოლუციის ბელადების სურათებით. სამი თვე არის რაც დაარსდა თანამშრომელთა დახმარებით ადგილკომმა დრამატიული წრეები, ქართული, რუსული და სომხური. 8 მაისს ამა წლის თანახმად ცირკულიარული პროფკავშირიდან, ადგილკომმა დადგა სპექტაკლი რუსულად და ქართულად, რუსულათ—„ვენ და ბ" ქართულად, „სახრჩობელაზედ". ხარჯების გარდა—შემოსავალი წმინდა შემოსავალი 55 მან. 75 კაპეიკი, რაც გადაეცა პროფკავშირის ახალგაზრდა უმუშევართა სასარგებლოდ. № 1 გამსახლის ადგილკომს განზრახული აქვს ამ ზაფხულში მოაწყოს ექსკურსიები და წარმოდგენები უმუშევართა სასარგებლოდ. უსურვებს ადგილკომს და გამს.-წრის გამგეობას ეს დიდი საქმე დაემთავრებინოს მას მშრომელთა სასარგებლოდ.

მუშკორი: ა. დ მახოშვილი.

ურის საცხობებს თვალყური უნდა ვადევნოთ.

(ძ. აღმასკომის სანიტგანყოფილების საყურადღებოდ)

გაიარა იმ დრომ, როცა სევერდლოვნი პურის მაგიერ ცოცხლულის თილით, მიწა ნარევ მჭად-ტალახიან და სხვა ნაყარ ნუყარით ვიკვებებოდით, ხოლო ზოგს ამის შოვნაც არ შეეძლო.

ახლა კი მდგომარეობა შეცვლილია. გარდა იმისა, რომ გარედან შემოდის ფქვილი, შინაური ხორბლეულის ნაწარმოებიც საკმაოდ მოგვდის: სიმინდი, პური და სხ.

მაგრამ თბილისის მეპურეთა უმეტესობა მაინც არ კმაყოფილდება ამით,—პურეულის ბუნებრივად, რიგიანად გამოცხობას გაურბის, ზვერი მეთორნე მეფურნე გამოუმზრალ ცომს და ნარევ ფქვილიან, დაბალი ღირსების პურს ჰყიდის.

გარდა ამისა, ზოგიერთ საცხობებში ზელა ცხობა სწარმოებს უწმინდურად, ჭუჭყიანად. არის საცხობებიც, სადაც ავი სენით ავადმყოფნი მუშაობენ.

აქედან კი ცხადია, პურის მომხმარებელი რა ხიფათშია: გამოუცხობ, ცომი—პურით კვების გარდა, საეჭვო სენის ბაცილებითაც საზრდოობს.

ეს კი შეუწყნარებელია

საჭიროა სასწრაფოდ:

ა) გაისინჯოს თორნე ფურნეები, ყოველმხრივ გასუფთავდეს შენობა, ჭურჭელი, ფორცლი და სხ. ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რომ ცომი პური არ გაიყიდოს; გ) პურის მზელავები გამომცხობნი შემოწმდნენ, რამე სენით ხომ არ არიან (ე. ი., დ) ყოველი პურეული თავისთავადი უნდა იყოს არა ნარევი (მაგ. ხშირია შემთხვევა, რომ პურის ფქვილს ურევენ სიმინდს, ქერი და სხ), რასაც წმინდა პურის სახელით ჰყიდიან.

საჭიროა ამას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ინფორ. მთაწმინდელი.

საჭიროა განაპირა უბნებსაც ყურადღება მიექცეს.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ქალაქის აღმასკომი განაპირა უბნებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ის ცდილობს, რომ შუაგული ქალაქი გაალამაზოს და ყოველგვარი დასასვენებელი ადგილები იქ მოაწყოს; მაგალითად ავლაბარი. ნახავთ თქვენ აქ ერთ რომელიმე ბაღს, სადაც შეეძლოთ მუშებსა და მათ ოჯახობას შესვლა და დასვენება?—არა. რატომ არ უნდა იყოს აქ ბაღი. ნუ თუ ჩვენი შვილები დახუთულ დანესტიანებულ ეზოში უნდა თამაშობდნენ? აქ ავლაბარში, ვარდის უბანზე (ყოფილი მირის თამბაქოს ფაბრიკის პირდაპირ) არის ბაღი. ეს ბაღი ერთ დროს კარგად იყო მოვლილი. ამ ჟამად კი იგი უპატრონოდ არის მიტოვებული. რამოდენიმე ხნის წინად ლამაზ მავთულებით იყო შემოკავებული, ახლა კი ნელ ნელა აცლიან მასაც და თითქმის თუ მალე ყურადღება არ მიექცა უკანასკნელ ბოძებსაც ამოაცლიან და ერთ დროს მშვენიერი ბაღი უბრალო სასიარულო გზად გახდება.

იმედი გვაქვს ქალაქის აღმასკომი დროზე ყურადღებას მიაქცევს და არ მოსპობს ამ ბაღს.

იმფორმატორი მუშა ხერგზაძე.

შედით მუშათა მდგომარეობაში

(აღმასკომის საყურადღებოდ)

იჟორეთის შესახვევში არის აგებული წყლის ონკანის შენობა. აღნიშნული წყლის ონკანი იღებოდა წინედ მთელი დღე. მუშას და მუშის ოჯახის წევრებს შეეძლოთ მაშინ ესარგებლათ წყლით თავისუფლად, დღეს კი გაუმჯობესების მაგივრად ონკანს აღებენ დღეში ოთხ საათის განმავლობაში, როდესაც უწინდელზე უფრო დიდი მოთხოვნილებაა წყლის და ამიტომ მუშებს უხდებათ ნახევარ საათზე მეტი დგომა რიგში. მასთან სანამ მუშა ორ ვედრო წყალს მიიტანდეს შინ და მობრუნდებოდეს, ისევ რიგში უხდება ჩადგომა, და სანამ ის მიაღწევდეს ონკანთან, მანამ დის ონკანი იკეტება და როდესაც მუშის ოჯახში ესაჭიროება ექვსი ვედრო წყალი, ორი ვედრო წყალიც ვერ შეაქვს მას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მასთან არის წყლის მილი გაფუჭებული, ორი ონკანის მაგივრად მუშაობს ერთი. აქ, რიგში ჩდგომისგან გაიგონებთ ლანძღვა გინებას ერთ რიგში.

„ერთი ძროხა მყავს, იგი კინაღამ გამილოფიანდა, იმას დავალევინო წყალი თუ ცოლ-შვილს—არ ვიცი". ისედაც დაღლილ მუშას რიგში დგომა ძალიან ჰქანცავს. საჭიროა აღმასკომმა მოაქციოს ჯეროვანი ყურადღება, ნუ დაგვაღარიბებს უწყლობით. მოვითხოვთ დღეში წყლის ონკანი გაღებული იქნეს რვა საათს ამით მუშები იქნებიან დაკმაყოფილებული.

მთავარ სახელოსნოს მუშა

იოსებ ხონელი.

არსენ ჯორჯიაშვილის ძვლის გარშემო

არსენ ჯორჯიაშვილის ძვლის ძებნის საქმეს აწარმოებს ამხ. იაკობ ვაინერი, 83 წლის მოხუცი, პარტიული ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობის დღენი შესწირა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. ის მონაწილეობდა მონაწილეობას ალექსანდრე მეორის მოკვლაში და არსენ ჯორჯიაშვილთან ერთად გენერალ გრიაზნოვის მკვლელობაში.

იაკობ ვაინერმა თავისი ინიციატივით ქ. მოსკოვში ნახა არსენ ჯორჯიაშვილის ძვალი. მას აქვს განზრახული ქ. თბილისშიც მოუტანოს არსენ ჯორჯიაშვილს ძვალი, მაგრამ მოულოდნელად გახდა ავად და ეხლა წევს ქალაქის მეორე საავადმყოფოში აქ ვაინერმა მთხოვა გამომექვეყნებინა გაზეთის საშუალებით მისი ავადმყოფობა და მეცნობებინა საზოგადოებისათვის, რომ მას შეგროვილი აქვს 152 ჩერვონეცი, მრავალი ნივთები და განკურნების შემდეგ შეუდგება ძვლის ძებნას.

ადგილკომის მდ. გორდელაძე.

სახელწოდება ერთია და საქმე კი სულ სხვა.

(კომუნალურ მუშაკთა კავშირის საყურადღებოდ).

პლეხანოვის პროსპექტზე № 182 არის მუშათა კლუბი საქ. კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირისა, ამხ. ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობაზე. მაგრამ მიუხედავად სახელწოდებისა, მაინც გამოურკვეველია, არის აქ მუშათა კლუბი, კინემატოგრაფი, თუ ცირკი,—ჩვენ გვგონია, რომ ის მუშაობა, რომელიც იქ სწარმოებს არ შეესაბამება თავის სახელწოდებას.

კარგად ცნობილ გაზალიუსის გასტროლები და ბურჟუაზიული კინოტრიუკები არ უნდა შედიოდეს გვგონია მუშათა კლუბის მუშაობის პროგრამაში. კიდევ ჯანდაბას, რომ შემოსავალს მაინც იძლეოდეს საკმაოს, მაგრამ ვაი, რომ ესეც არ არის. ამზრდელი და შინაარსიანი რამე უნდა მიეცეს მსმენელს. მაგრამ აქ ასე არ არის.

საჭიროა ხელმძღვანელმა ორგანოებმა აქეთკენ მიმართონ თავისი გეზი.

ტრამვაელი—ან.

მუშების წერილები მიზანს აღწევენ.

(აღმასკომის პასუხი)

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-25 ნომერში სათაურით „უხეში რეგისტრატორი" ქ. თბ. საფინანსო განყოფილებამ მომართვით ამ 13 | 5 მე 5009 ნომრით გვაცნობა, რომ განცხადების მიღება 1 საათამდე არის გამოწვეული საქმის აუცილებელ საჭიროების გამო, რის შემდეგ სრულდება კანცელარიაში სხვა მორიგი საქმეები. თხოვნის 1 საათის შემდეგ მიღებაზე უარის განცხადება არ შეიძლება ჩაითვალოს რეგისტრატორ ქალის დანაშაულად, რაც შეეხება უხეშ მოპყრობას მას განყოფილება არ უარყოფს, მხოლოდ პირველ შემთხვევისათვის ბრძანების საშუალებით უცხადებს საყვედურს გაფრთხილებით, რომ თუ შემდეგში ასეთ მოქცევას კიდევ ადგილი ექნება, ასეთი თანამშრომელი აუცილებლად მოხსნილ იქნება სამსახურიდან.

ინფორმატორი ვარდოსანიძე

მუშის ლექსიკონი.

(უცხო სიტყვათა ახსნა)

ეპიდემია.—(ბერძნული სიტყვაა) ნიშნავს გადამდებ, სახიფათო სენს, ავადმყოფობას, როგორიცაა მაგ. სახადი, „ყვავილბატონები", „კოლერა" და სხ.

ეპოქა.—(ბერძნული სიტყვაა) ნიშნავს ახალ ხანას, განსაზღვრულ დროს, რომელიც ხასიათდება რაიმე ახალი ღირსშესანიშნავი საზოგადო, პოლიტიკური, სოციალური, ან მეცნიერული მოვლენით. მაგ., 1917 წლის 25 ოქტომბრიდან იწყება სრულიად ახალი სოციალისტური კომუნისტური წესწყობილების ხანა, რომელსაც სადირკვლად უძევს მხოლოდ მშრომელთა მასის გამარჯვება და კეთილდღეობა.

კვინტ ესენცია.—(ლათინური სიტყვაა). რაიმე საგნის, აზრის, მსჯელობის საფუძველი, მთავარი, დედააზრი, შინაარსი, არსებითი მხარე.

ინტრიგა.—(ფრანგული სიტყვაა)—გაიძვერობა, ოინი, ხრიკი, შურისძიება. მაგ. საზღვარ გარეთ გაქცეულ მენშევიკები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აწარმოებენ სხვადასხვა გვარ ინტრიგანულ ხერხებს, ავრცელებენ საბჭოთა წესწყობილებაზე ცრუ და ყალბ ხმებს და გაიძვერობენ.

ინტრიგანი.—ნიშნავს გაიძვერას, შურის მაძიებელს, დაუნდობელს, მოღალატეს და სხ.

ინფორმაცია.—(ლათ. სიტყვაა) ნიშნავს სწავლებას, დარიგებას, ცნობების მიცემას რაიმე საგნის, მოქმედების ან მოვლენის შესახებ.

კონიუნქტურა.—(ლათ. სიტყვაა) სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ, უფრო ხშირად, ტექნიკურ და ეკონომიურ მოვლენათა და პირობების მდგომარეობა—დამოკიდებულება, აღნიშნულ მოვლენათა ურთიერთშორის ისეთი კავშირი და განწყობილება, რომელიც ხელს უწყობს, ან უშლის, რომელიმე ღირსშესანიშნავ საქმის, გეგმის, მოქმედების სისრულეში მოყვანას.

საერთაშორისო მდგომარეობა

1. ძირითადი მომენტები, რომელიც განსაზღვრავენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, არის:

ა) ბურჟუაზიული საზოგადოების და კაპიტალიზმის შეუწყვეტელი ნგრევა და გახრწნა.

ბ) აქედან გამომდინარე წინააღმდეგობანი და ანტაგონიზმის თანდათანობითი გაძლიერება უმთავრეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის.

გ) ერთის მხრივ კომუნისტური და მეორეს მხრივ ფაშისტური ძალების გაძლიერება.

დ) ჩვენი შინაური მდგომარეობის განმტკიცება (პოლიტიკურათ და ეკონომიურათ) და

ე) საბჭოთა კავშირის ცნობა მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ (ინგლისი, იტალია, ავსტრია და სხვ.).

2. კაპიტალიზმის ეხლანდელი მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზი ამართლებს ჩვენს დიაგნოზს მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების ნგრევისა და გახრწნის შესახებ.

ამ გახრწნას ახასიათებს:

ა) ევროპის გაღარიბება, ფულის სისტემის რყევა მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რაც შედეგია მთელი ევროპის სახალხო მეურნეობის ორგანიული ავადმყოფობისა.

ბ) საერთაშორისო სამეურნეო დამოკიდებულებათა სრული ჩაშლა,

გ) სწორი საკრედიტო დამოკიდებულებათა უქონლობა გამდიდრებულ ამერიკასა და ევროპას შორის, რომელსაც ფულები სჭირდება, და ბოლოს,

დ) კლასიური ბრძოლის გამწვავება გერმანიაში. ეს ბრძოლა გერმანიის შერყეულ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში (სარეპარაციო გადასახადები, ექსპერტთა კომისიის დადგენილება) ბურჟუაზიულ ევროპას ემუქრება ახალი რევოლუციონური ტალღით.

3) საერთაშორისო ეკონომიურ დამოკიდებულებათა დაშლა, სხვადასხვა იმპერიალისტური ჯგუფების შეუწყვეტელი ბრძოლა (ინგლის საფრანგეთი, ამერიკა-იაპონია) შესაძლებელს ხდის ახალ საერთაშორისო იმპერიალისტურ ომს. ეს ომი თავის ორბიტაში ჩაითრევს აღმოსავლეთის იმ ქვეყნებს (იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი), რომელთაც არ შეხებია წარსული საერთაშორისო სისხლის ღვრა და განადგურების იარაღების გაუმჯობესების გამო მას შედეგათ მოჰყვება საერთაშორისო მეურნეობის არაჩვეულებრივი ნგრევა და უდიდესი რევოლუციონური ტალღა მთელს მსოფლიოში.

გარდა ზევით აღნიშნულ იმპერიალისტურ შეჯახებებისა (ამერიკა-იაპონია, ინგლის-საფრანგეთი), ჩვენ მოწამენი ვართ ისტორიულ პერსპექტივაში კიდევ უფრო დიდი ბრძოლის ამერიკასა, რომელიც თანდათან მდიდრდება, და ბალკანეთის პირობებში მყოფ, გაღარიბებულ ევროპას შორის. ეს ბრძოლა აუცილებლათ მიგვიყვანს ორ შესაძლებლობამდი.

ა) ევროპა კოლონია ამერიკის იმპერიალიზმის ან და,

ბ) გასაბჭოებული მუშათა ევროპა წარმატებით იბრძვის ბურჟუაზიულ ამერიკის წინააღმდეგ და ამარცხებს მას.

ორივე ეს შესაძლებლობა აძლიერებს კაპიტალისტური საზოგადოების კრიზისს და საშუალებას გვაძლევს ჩვენ დანამდვილებით ვსთქვათ, რომ ბურჟუაზიული წესწყობილება აგონიას განიცდის.

4 მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოების ამ შინაგანი გახრწნის გარდა, რომელსაც იწვევს კაპიტალისტურ სისტემის ბუნებაში ჩამარხული წინააღმდეგობანი, არის და იზრდებიან კიდევ ძალები, რომელნიც აჩქარებენ კაპიტალიზმის კრახს.

მთელს ევროპაში, როგორც თანამედროვე კლასიური საზოგადოების ძირითად ძალების გამოსაშკარავების შედეგი, როგორც კლასიური ბრძოლის გამწვავების შედეგი,—ძლიერდება და ემზადება გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ორი არმია—პროლეტარული, კომუნიზმის დროშის ქვეშ, და ბურჟუაზიული რეაქციის არმია.

მთელს მსოფლიოში იზრდებიან კომუნისტური რევოლუციის ძალები, ამასთანავე იზრდება ფაშიზმი (გერმანიის არჩევნების მაგალითი).

5. ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის ასეთი ნგრევისა და გახრწნის პირობებში შენდება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა.

ეს დამყარებულია ჩვენი მოწინააღმდეგე ქვეყნიერების წინააღმდეგობათა გამოყენებაზე, ის სარგებლობს ყოველგვარი შესაძლებლობით გაგრძელებული იქნეს ჩვენი შესვენება სოციალური რევოლუციის მოხდენამდი მნიშვნელოვან კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ პოლიტიკამ ჩვენი შინაური კეთილდღეობის ზრდის თანდათანობითი გაძლიერებასთან (მრეწველობის განვითარება, პურის ექსპორტი, ფულის სისტემის გაჯანსაღება) და ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის გამტკიცებასთან ერთად, მიგვიყვანა საბჭოთა კავშირის ცნობამდი მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ.

ჩვენ ნორმალური ურთიერთობა დავამყარეთ ინგლისთან, იტალიასთან, შვეციასთან და სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, ამასთანავე ოქტომბრის რევოლუციის საფუძვლები—მიწის და მრეწველობის ნაციონალიზაცია, მეფის და სამხედრო ვალების გაუქმება და საგარეო ვაჭრობის მონოპოლია—შეურყეველი რჩება.

6 ოქტომბრის ზემოაღნიშნულ საფუძვლებზე სწარმოებს სწორედ მოლაპარაკება ინგლისთან რა აიძულებს ინგლისს დაიწყოს ჩვენთან მოლაპარაკება და როგორია ამ მოლაპარაკების პერსპექტივები?

ინგლისს, გასული წლიდან დაწყებული, აქვს ფულის ზედმეტი რაოდენობა, რომელიც უდრის ერთ მილიარდს ოქროთი; საჭიროა ამ თანხის დაბანდება მისი განაწილება კი შეიძლება მხოლოდ საგარეო სესხებში.

ინგლისში ადგილი აქვს ძლიერ უმუშევრობას, რაც შედეგია ინგლისის მრეწველობის იმ მნიშვნელოვანი ნაწილის დავადების, რომელსაც არ აქვს ბაზარი.

ჩვენთვის კრედიტების გახსნა შეკვეთებს მისცემს ინგლისის მრეწველობას, ამასთანავე მას საშუალება ექნება გაიტანოს საბჭოთა კავშირიდან მისთვის საჭირო ნედლი მასალა, ხე-ტყე და სოფლის მეურნეობის პროდუქტები

ვიღებთ რა ჩვენს თავზე ანგარიშების თავის დროზე გასწორების გარანტიის მიღებულ ვალდებულებების მიხედვით, ჩვენ ამასთანავე სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევთ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელთა მიზანი იქნება საბჭოთა კავშირის უცხო კაპიტალისათვის დამორჩილება და ოქტომბრის რევოლუციის საფუძვლების დარღვევა.

თანასწორ უფლებიანობა პრეტენზიების და კრედიტების საკითხების განხილვის დროს, ამ კრედიტების სარგებლიანობა ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის რომელსაც შეუძლია განვითარდეს მხოლოდ წვრილი საგლეხო მეურნეობის საფუძველზე, ოქტომბრის მონაპოვართა შეურყეველობა—აი პირობა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ნაყოფიერებისათვის.

7. მაგრამ მიუხედავად საბჭოთა კავშირის ცნობისა, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით მტკიცეთ და უზრუნველყოფილად სხვადასხვაგვარი გართულებისაგან

ბურჟუაზია, მართალია, საბჭოთა ხელისუფლებაზე უშუალო თავდასხმის პოლიტიკიდან გადავიდა იურიდიულ და ფაქტიურ ცნობის პოლიტიკაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც მზად არის გამოიყენოს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა, რომ დაგვესხას ჩვენ.

ამის მაგალითებია—ექსის ბანკირის მემორანდუმი, პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო კავშირი და, ბოლოს, თავდასხმა სავაჭრო წარმომადგენლობაზე ბერლინში.

8. ყველა ეს გვაიძულებს ჩვენ საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებაზე ზრუნვასთან ერთად, სერიოზული ყურადღება მივაქციოთ საბჭოთა ფედერაციის შეიარაღებულ ძალთა მდგომარეობას. თუმცა უკანასკნელ და გადამწყვეტ სიტყვას იტყვის არა აშკარა შეიარაღებული შეტაკება საბჭოთა კავშირსა და ბურჟუაზიულ მსოფლიოს შორის (რომელიც ტექნიკურათ უფრო ძლიერია), მაგრამ, მიუხედავად ამისა, წითელი არმიის განმტკიცება, მისი რეორგანიზაცია (გადასვლა ტერიტორიალურ არმიაზე), სამხედრო მრეწველობის განვითარება (უმთავრესად ქიმიური მრეწველობის) და სხვ.,—საბჭოთა კავშირის ყველა საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

9. ეხლა წარმოებულმა ჯარში გაწვევამ უნდა დაამტკიცოს, რომ წითელი არმიის აღმშენებლობით დაინტერესებულია თვითეული მუშა და გლეხი, მან კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს კავშირი წითელ არმიასა და მშრომელთა ფართო მასებს შორის.

ბერლინში მომხდარ თავდასხმას სავაჭრო წარმომადგენლობაზე და ექსის ბანკირის მოთხოვნილებებს ჩვენ უნდა გავცეთ სათანადო პასუხი.

ასეთი პასუხი უნდა იყოს—გასაწვევ პუნქტებზე გამოცხადებულთა ასი პროცენტი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ეკონომიური ცხოვრება

სავალუტო ბირჟა თბილისში

(22 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

ჩერვონეცით

ფუნტ. სტერლინგ. ღირებ. 8 მ. 48 კ.
" ჩეკები — 7 მ. 85 კ.
დოლარი ღირებ. 1 მ. 94 ნახევ კ.
" ჩეკები—1 მ. 78 ნახ კ.
თსმ. ქაღ. ლირა ღირ. — 93 კ.
იტალ. ლირა 100 ცალი 8 მან.
ფრანკი ფრან. 100 ცალი 9 მ. 50 კ.
ოქროს მანეთი 12.500 მილიონი.

ცეკავშირის ფასები

(22 მაისი)

პური 5 ნახ. კაპ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 კ., შაქარი ფხვნილი—25 ნახ კ., კარტოფილი—2 კ., ვერმიშელი—13 კ., საპონი „ტოალ" 20 კაპ., ფქვილი თეთრი № 0—10 კ.

თბილისის ბაზრის ფასები

(22 მაისი)

პური 1 ხარ.—7 მ ., პური 2 ხარ. 5 ნახ.-6 კ., ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინ —34 კაპ. შაქარი ფხვნილი—26 კაპ კარტოფილი—3 კ., მაკარონი—17 –20 კაპ, ბრინჯი ადგ 14 კაპ

ბირჟის მიწოდება

„ნოვტრესტორგ"-ის პროდუქცია (ასანთი, კარტონი, ქაღალდი, ჭურჭელი, ფანჯრის მინა და სხვ.) მზესუმზირის ზეთი, გუთნები (ცალ-სახნისიანი), სანიავებელი, „ქიმუგოლ"-ის პროდუქცია, გოგირდი „ბუდა", ჩაი (ციელონის და ჩინეთის, თევზი (ВОБЛА), „ცარპაიტორგ"-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, სახ. მეურნ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ", ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „კრაიტორგ"-ის პროდუქცია (ცემენტი, ეტერნიტი და სხვ), შაბიამანი, სელის ოლიფა, მავთული მარტენის, სალეწავი მანქანები (მოწყობილობით), თევზი (შეკრული) ვაგონებით, წერაქვები და ბარები, სალომასი, საშენებელი ლურსმნები, ყუბანის ფქვილი „რაზმოლ"-ი.

ბირჟის მოთხოვნილება.

პორტლანდის ცემენტი, მზესუმზირის ზეთი, ფანჯრის მინა (ბემის), ასანთი, ზაქათალის თხილი, ტუნგბი, სანიავებელი და სალეწავი მანქანები, ჯაგარი, ნედლი ტყავეულობა, ნარმა და მატყლი შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვა-მარილი ნახიჩევანის.

ტიპიური გარიგებანი.

პურის ფქვილი. (3 ლურჯ)—2 მან. 15 კ. ფუთი, ფრანკო სადგური თბილისი.

პორტლანდის ცემენტი—3 მან. 75 კაპ. ბოჩკაში, ფრანკო—ბათომი ვაგონი.

პურის ფქვილი.—1 ხარ. „წითელი"—3 მან 10 კ. და 3 ხარ.—1 მან. 70 კაპ. ფუთი. ფრანკო—თბილისი; „რაზმოლ"-ი 1 ხარ —2 მან. ფუთი, ფრანკო—თბილისი ვაგონი.

სპილენძი (ნამტვრევი).—6 მან. 75 კ.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

პურეულზე და შაქარზე განწყობილება გაცხოველებულია. დანარჩენ ბაზარზე—საგრძნობი ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

1 მაისიდან 17 მაისამდე ბირჟის გარეშე დადებულია 199 გარიგება—701,089 მ. 75 კ. 19 მაისს—12 გარიგება—43833 მან. 29 კაპ. 1—19 მაისამდე—211 გარიგება—744,873 მანეთის თანხისა.

თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის ოპერაციები

(19 მაისი)

საფონდო განყოფილება.

1 მაისიდან 17 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 71 საფონდო გარიგება—808 576 მანეთისა, ხოლო 19 მაისს 3 გარიგ.—13320 მან., სულ 1—19 მაისამდე 74 გარიგება—821896 მან. თანხისა.

საქონლის განყოფილება

1—17 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 69 გარიგება—437 139 მანეთისა, ხოლო 19 მაისს 4 გარიგება—16097 მან.; სულ 1—19 მაისამდე 73 გარიგება 453 236 მან. თანხისა.

ხორცის სექცია

1—17 მაისამდე ხორცის სექციაში დადებულია 215 გარიგება—86 656 მან; 19 მაისს—28 გარიგ.—7117 მ; სულ 1—19 მაისამდე—243 გარიგ.—93773 მან. თანხისა.

საბჭოთა სასამართლოში

ს. თუმანოვის საქმე

ა | წ. 17—18 მაისს აღმ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—დავ. ნასარიძე, მსაჯულნი—ა. ენუქიძე და ვ. ზუბკაშვილი, პროკურორის თანაშემწე—ხარაბაძე და მდივნის მესხიშვილის მონაწილეობით, განიხილა სახალხო სასურსათო კომისარიატის ბუხჰალტერის ყოფ. თანაშემწის სერგო ალექსის ძე თუმანოვის და ამავე კომისარიატის სალაროში ქვეგანყოფილების გამგის,—ვიტოლდი ავგუსტინის ძე ურბანოვიჩის საქმე.

პირველს ბრალად ედება სხვადასხვა დროს 1922—1923 წლის განმავლობაში კომისარიატის კუთვნილი ფულის გაფლანგვა 592,358,000 მანეთის რაოდენობით (რაც, დაახლოვებით, 600 ჩერვ. მანეთს უდრის), ხოლო მეორეს, ურბანოვიჩს,—დაუდევრობა, რამაც ხელი შეუწყო ფულის სისტემატიურ ფლანგვას.

წინასწარ გამოძიებიდან და სასამართლოს ძიებიდან გამოირკვა შემდეგი.

ბრალდებული თუმანოვი მსახურებდა სახ. სას. კომისარიატში 1922 წლის განმავლობაში და 1923 წლის მაისამდე მისი სამსახურის ერთერთ მოვალეობას შეადგენდა კომისარიატის ქვემდებარე მაღაზიებიდან დღიურ ნავაჭრი ფულის აკრეფა. აკრეფილი ფული უნდა შეეტანილიყო დაუყოვნებლივ სახალხო და კოოპერატიულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშზე და აგრეთვე, კომისარიატის სალაროში. 1923 წლის თებერვალში მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გაგზავნა სასურსათო კომისარიატში რევიზიისათვის რევიზორი მდივანი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ს. თუმანოვს მე 4 მაღაზიიდან აკრეფილ ფულიდან შეუნარჩუნებია თავისთვის 46.000.000 მან. და მე—2 მაღაზიის ნავაჭრიდან—56,012,000 მანეთი. რევიზიის შედეგი ეცნობა ინსპექციას და კომისარიატს. ამ ცნობის მიღებისთანავე,—1923 წლის 16 მაისს,—სასურს.—კ-ის საფინანსო სამმართველოს გამგემ როდიონოვმა განკარგულება გასცა თუმანოვის გადაყენების შესახებ. მაგრამ ამ განკარგულების მიუხედავად თუმანოვს 17 მაისს კვლავ აუკრეფია 910,083 ათასი მანეთი და ამ თანხიდან შეუტანია სალაროში მხოლოთ 457,726,667 მან. შეკითხვაზე,—რატომ არ შეაქვს მას დანარჩენი ფული,—თუმანოვს უპასუხნია, რომ ერთი თვის წინეთ მას მოჰპარეს ტრამვაიში 542,615 ათასი მანეთი. 24 მაისს თუმანოვი დაპატიმრებულ იქნა და საქმე სასამართლოს გადაეცა.

ფულის მოპარვის შესახებ ბრალდებული სხვადასხვა და საწინააღმდეგო ჩვენებას იძლეოდა, რამაც სხვა საბუთებთან ერთად სასამართლო დაარწმუნა ბოროტმოქმედების ჩადენაში სასამართლომ ისიც გამოარკვია, რომ თუმანოვი სალაროში წარსადგენ ფულს ინახავდა ხოლმე 5—6 დღით, ფლანგავდა მას რესტორან „ორიოლ"-ში და ლოტოს თამაშში, რის გამო თუმანოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით გამასწორებელ სახლში და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა ამავე ვადით.

ამნისტიების ძალით სასჯელის ვადა განსაზღვრდა 1 წლით და 8 თვით. მეორე ბრალდებულის, ურბანოვიჩის შესახებ გამოირკვა, რომ თუმანოვის რევიზია მისდამი რწმუნებულ სანგარიშო ქვეგანყოფილებას არ ეხებოდა და რომ მას არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი კავშირი თუმანოვთან არ ქონია, რის გამო ხსენებული ურბანოვიჩი ცნობილ იქნა უდანაშაულოთ.

ქრონიკა

■ **გადასახადი წყალზე.** წყალსადენის სამმართველოს დადგენილებით, აპრილში დახარჯული წყლის ფულის აკრეფის წესი რჩება უცვლელი, ხოლო აკრეფის წესი შეცვლილი იქნება მაისისათვის.

■ **ვირთაგვების წინააღმდეგ ბრძოლა.** დღეიდან ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება ქალაქს მცხოვრებთ დაურიგებს ვირთაგვების წინააღმდეგ საბრძოლველად შხამებს, რომლის მიღება შეიძლება რაიონულ სამ ფურნალოებთან დილის 9—12 საათამდე.

■ **სეტყვისაგან დაზღვევა.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა მიმდინარე წელს ვენახების სეტყვისაგან დაზღვევა აწარმოოს კოოპერატივების საშუალებით. დაახლოებით დაზღვეული იქნება 4,000 დესეტინა.

■ **მეხილეთა ამხანაგობები.** გორის მაზრის მეხილეთა ამხანაგობის რაიონული კავშირი „ქართლი" ამ ჟამად აერთებს გორის მეხილეთ. შემდეგ ამხანაგობებს: „რუისი", „საქაშეთი", „ვარიანი", „დიდი ლიახვი", „ქვემო ნიგოზი", „ატენი" და „კარალეთი". აღნიშნული ამხანაგობები ამზადებენ დიდ ძალ ხილს რუსეთში და საზღვარ გარეთ გასაზიდებლად.

■ **ქალაქის წისქვილები.** ქ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ქალ წისქვილებისათვის შეიძინა საუკეთესო სისტემის წისქვილები (საფქვავები).

■ **ცეცხლის გაჩენის მიზეზები.** ცეცხლის მქრობელ ინსპექციის ცნობით, ქალაქში გაჩენილ ცეცხლის მიზეზები უმეტეს შემთხვევაში არის ელექტრონის მავთულების შეერთება.

■ **წიგნები მაზრებისათვის.** თბილისის პოლიტგანმანათლებლობამ 1 იანვრიდან დღევანდლამდე მაზრების სამკითხველოებისათვის შეიძინა 9,755 წიგნი.

■ **წერა კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.** წერა კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ მიმდინარე წელს თბ. პოლიტგანმანათლებლობას თბილისის მაზრაში გახსნილი ჰქონდა 80 პუნქტი.

■ **ჩაითის ქარხნისთვის.** ა | კ. ეკონომიურმა უმაღ. საბჭომ ჩაითის ქარხნის საჭიროებისათვის გადასდო 10,000 მან.

■ **ხელფასის მოწესრიგება.** სოხუმი ხელფასის მოწესრიგების საქმეში მიწერილ იქნა მეორე სარტყელში ა | კ. ფინსახკომის წინადადება მიეცა გადათვალიეროს სპეც-პირობის ჯამაგირები.

■ **გადამდებ სენის წინააღმდეგ.** ა | კ. ეკონომიურმა საბჭომ გუდაუთში გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველათ გადასდო 5000 მან.

■ **ფიზკულტურისათვის.** ა | კ. ეკონომიურმა საბჭომ საქართველოს ფიზკულტურის საქმის ფიზკულტურის საჭიროებისათვის მისცა 5000 მანეთი.

■ **ვალუტის გატანა საზღვარგარეთ.** ვალუტის გატანა საზღვარგარეთ ა-| კ. ფინანსთა კომისარიატის ნება დაურთველათ აკრძალულია.

■ **კურორტები სამეურნეო ხარჯზე.** ა | კ. ეკონომიური საბჭოს დადგენილებით კურორტების მმართველობა რჩება ისევ სამეურნეო ანგარიშზე

■ **კურორტების აღსადგენათ.** კურორტების აღსადგენათ ა—კ. სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 70,000 მან.

— **საწოლები კურორტებზე.** საგარაკო სეზონისათვის ა—კ. მთავრობის მიერ აღებულია ყველა აგარაკებზე 200 საწოლი, რისთვისაც გადადებულია 68,300 მან

■ **აბარაკის შესაკეთებლათ.** აბარაკ საწაინო-სუმბათოვის შესაკეთებლად ა—კ. სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 5,000 მან.

■ **შრომის ბირჟა.** 20 მაისს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 97, ახლად ჩაეწერა 96, სამუშაოზე გაიგზავნა 87, მოთხოვნილება იყო 122 უმუშევარის.

თბ მ ზ. მილიციაში.

■ **თბ. მ. ზ. მილიციის შემადგენლობა.** აპრილის თვის განმავლობაში თბ. მ.-ზ. მილიციის თანამშრომლები უდრიდა 1066 კაცს, აქედან ქართველები—749, სომხები—203, რუსები—75, თათრები—21, სხვადასხვა ეროვნების—18.

■ **ლტოლვილები.** აპრილის განმავლობაში პირადობის მოწმობები მიეცა 380 პირს.

■ **დროებით მოწმობებზე გადასახადი.** გაცემულ დროებით მოწმობებზე გადასახადისაგან შემოვიდა და შეტანილია აღმასკომის სალაროში 1,646 582,000,000 მ.

■ **სიღარიბის მოწმობები.** აპრილის თვის განმავლობაში სიღარიბის მოწმობები მიეცა 218 პირს.

■ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა.** შინ. საქ. კომისარიატის და თბ. აღმასკომის მიერ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევას აპრილში ადგილი ჰქონია 200 შემთხვევას.

■ **ჯარიმა.** აპრილში სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გადახდილი იქნა ჯარიმა № 6 14,000,000,000 მან. ა-კ. ბონებით და 1407 მან. და 50 კ.

■ **საზოგადო მყუდროების დამრღვევნი, დაპატიმრება.** ამავე თვის განმავლობაში საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის დაპატიმრებული იქნა 137 კაცი.

■ **ბოროტ-მოქმედებათა რაოდენობა აპრილში.** აპრილის განმავლობაში აღრიცხულია 126 ქურდობა, 11 ჯიბგირობა, 6 მკვლელობა, 2 დაჭრა, 2 გაძარცვა, 4 გამოტყუება, 1 გაუპატიურება, 3 თვითმკვლელობა, 2 მკვლელობის განზრახვა 1 ქალის გატაცების განზრახვა, (ამაში არ შედის სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღრიცხული ბოროტმოქმედებანი)

შემთხვევები.

■ **ქურდი შვილი.** 19 მაისს დილის 10 საათზე თომას ქ. № 3, პოლოსა მირაქოვს თავის შვილმა რუბენ მირაქოვმა მოჰპარა ფულათ 31 მან და ერთი ოქროს ბრასლეტი, წონით 26 მისხალი, ღირებული 234 მან.

■ **ქურდობა.** 19 მაისს, დილის 11 საათზე ალექსანდრეს ქ. № 15 გაქურდეს მოქ. ანნა ბიქტორის ასული იქიამანწევისა, ეჭვით შეიპყრეს ირაკლი მუხრანსკი.

— 18 მაისს საღამოს 10 საათზე ვაკეში გაქურდეს მოქ. გიორგი დოლიძეშვილის ბინა, წაღებულია 190 მან. ნივთები.

— 17 მაისს დილის 6 საათზე გაქურდეს (ერმოლაის ქ. № 15). მორგებული გასაღების საშუალებით მოქ. ნადია სადრაძის ბინა. წაღებულია 100 მან. ნივთები.

— 18 მაისს, რუსტოვის ქ. № 31, გაქურდეს მოქ. თამარა ივანეს ასული ჩარექოვის ბინა, წაღებულია 1,300 მან. ძვირფასი ნივთები.

— 18 მაისს შუადღის 12 საათზე, ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდული იქნა (ელისაბედის ქ. № 114) მოქ. ზაქრო ალაძოვის ბინა. წაღებულია 100 მან. ნივთები.

■ **თავის მოწამვლა.** 18 მაისს, საღამოს 10 საათზე რუსტოვის ქუჩა № 31, თავი მოიწამლა იოდით მოქ. ევგენი ჩარექოვამ, რომელსაც ეჭვით ბრალდებოდა იმავე ეზოში მცხოვრებ თამარა ჩარექოვის ბინის გაქურდვა.

■ **შეპყრობა.** 17 მაისს გათენების ს უფროს მილიციონერმა იწყკირვლიშა შეიპყრო გრიგოლ ლიუბინი, რომელსაც აღმოაჩნდა 400 მან. ნაქურდალი ნივთები, მოპარული ლენინის ქ. № 47, მოქ. ფახულიას ბინიდან.

■ **სახელმწიფო სამედიკამენტო საწყობის გაქურდვა.** 16 მაისს გაქურდეს სახ. სამედიკამენტო საწყობი, ეჭვით შეიპყრეს—ხარაბადი კანკია, აბრამიშვილი და ბაქუზოვი.

ხელოვნება

ვახტანგ მჭედლიშვილი

დეპეშამ მოგვიტანა ცნობა, რომ მოსკოვში უეცრად გარდაიცვალა ცნობილი რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი.

ის დაიბადა 19 აგვისტოს 1884 წელს ქ. ბათომში მაშინდელი საზოგადო მოღვაწის ლევან მჭედლიშვილის ოჯახში. ბათომის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ მესამე კურსიდან ის დაუახლოვდა მოსკოვის სამხატვრო თეატრს და ახლო ხანში გახდა სტანისლავსკის და ვასილ ნემიროვიჩ-დანჩენკოს უახლოესი თანამშრომელი.

ამის შემდეგ მან სავსებით მიატოვა უნივერსიტეტი და მთელი მუშაობა გადაიტანა ახლად დაარსებულ მეორე და მესამე სტუდიაში, სადაც მუშაობდა სრულიად დამოუკიდებლად.

—

გარდაიცვალა უდიდესი ხელოვანი, საუკეთესო აღმზრდელი და მუშაკი.

ვის დაავიწყდება მის მიერ მეორეჯერ დადგმული მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი", რომელმაც აღტაცება გამოიწვია რუსეთში და ევროპაში და რომელიც ზედიზედ ორას-სამოცჯერ დაიდგა; მუდამ ცოცხალი, დაუღალავი, საქმისადმი დაკვირვებული ის მოწოდებით ხელოვანი იყო და არაჩვეულებრივი გემოვნება და სიცხოველე შეჰქონდა საქმეში. იმიტომ იყო სწორედ, რომ მას აფასებდნენ, ის უყვარდათ.

სულ მოკლე ხანში მან საპატიო ადგილი დაიკავა მოსკოვის სამხატვრო თეატრში.

ამ ბოლო დროს მან მოსკოვში დაარსა ქართული სტუდია, რომლის მუშაობას თითონ ხელმძღვანელობდა.

მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია რუსეთის სცენისათვის და კერძოთ საქართველოს თეატრისათვის, რადგან ის თავისი მუშაობის ასპარეზის გადმოტანას სტუდიის აღზრდის შემდეგ აპირებდა საქართველოში.

დ.

—

■ **რეჟისორ ვახტანგ მჭედლიშვილის გარდაცვალება.** მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი რეჟისორი და მოსკოვში არსებულ ქართული დრამატიული სტუდიის ხელმძღვანელი ვახტანგ მჭედლიშვილი.

■ **სტრიჟენოვას გარდაცვალება.** მოსკოვიდან გვატყობინებენ, რომ იქ 18 მაისს უეცრად გარდაიცვალა თბილისის ოპერის მსახიობი-ქალი სტრიჟენოვა.

■ **სახელმწიფო კონსერვატორია.** მთავარ სახელოვნო კომიტეტის დადგენილებით ამ დღეებში დაიწყება სახ. კონსერვატორიის რეორგანიზაცია. განზრახულია კონსერვატორიის დაყოფა დაბალ და საშუალო უმაღლეს კლასებათ.

■ **ქართველ მხატვრების გამოფენა.** ქართველ მხატვართა მხატვრობის გამოფენა განზრახულია 15 ივნისისათვის.

■ **რევოლუციონურ შემოქმედების საღამო.** მაისის 23 სახ. თეატრში საქ. პროლეტ. მწერალთა თაოსნობით გაიმართება რევოლუციონური შემოქმედების საღამო.

■ **„ილამი სარკე".** თბილისში ჩამოვიდა საგასტროლოთ ხოლმსკაიას თეატრი „ილამი სარკე" (კრივოი ზერკალო).

პროვინციაში

აღმშენებლობითი მუშაობა სენაკის მაზრაში

აბაშის ჰიდრო-ელექტრონული სადგური

სწარმოებს მუშაობა მდ. აბაშაზე ჰიდრო ელექტრონულ სადგურის ასაგებად. სადგურის შენების ხელმძღვანელად უმაღლეს მთავრობის მიერ დანიშნულია ინჟინერი ჭიჭინაძე. სამუშაოს უფროსად ინჟ. ჭიჭინაძის რეკომენდაციით დაინიშნა ინჟ. სენოქენსკი. მუშაობის მწარმოებლად—უფროს ტექნიკოსი ხარებავა.

სადგურის სამშენებლო კომიტეტში შედიან: ამხ. ს. მამულია (თავმჯდომარე), მ. ზედია, ო. ოჩიგავა, ა. ოჩიგავა (წევრნი), კ. მელიქაძე, (მდივანი) და 2 სპეციალისტი.

კომიტეტს შეძენილი აქვს 20,000 ფუთი ცემენტი „ნოვოროსცემენტორგიდან". იჯარით გაცემულია და დაწყებულია მიწის და კლდის სამუშაოები. შეძენილია აგრეთვე ინვენტარი და სხვა და სხვა სამუშაო იარაღები. მუშებისათვის გაშენებულია სადგომები, წითელ დროშოსან არმიისაგან საჩუქრად მიღებული არის ასაფეთქებელი მასალები. საწყობებისათვის მზად არის საჭირო ხე-ტყის მასალა.

ამ რიგად მომზადებულია წინასწარი პირობები და უკვე დაწყებულია ენერგიული ტემპით დიდ სამუშაოების წარმოება.

ხიდები და გზები.

გაშენებულია ხიდები მდ. ტარჩუნზე, გურძემზე, აბაშაზე (მარტვილის ახლოს). ხიდები შეკეთებულია მდ. ტეხურზე (ორმოც საჟ რკინის ხიდი და იმავე მდინარეზე რკინის გზის ლიანდაგის ახლო) სწარმოებს მუშაობა მდ. ცივზე ახალ ხიდის გასაშენებლად. შენდება მეორე ხიდი მდ. აბაშაზე (ბანძას ახლო) და მესამეც იმავე მდინარეზე ზანათის ახლო) მდ. ტეხურზე (ძვ. სენაკთან) და მდ. აბაშაზე (მარტვილთან) გაყვანილია კანატის ხიდები, განზრახულია აგრეთვე სოფ. ლეძაძამეში მდ. ტეხურზე კანატის ხიდის გაყვანა. გზები ყველგან შეკეთებულია, ბევრ ადგილას გაყვანილია ახალიც.

ქ. ახალ-სენაკის ელექტრო სადგური კეთილმოწყობა.

ქ. ახალ-სენაკს აქვს ელექტრონის განათება, რომლითაც სარგებლობენ როგორც დაწესებულებანი, ისე ქალაქის მცხოვრებნი და მოქალაქენი. ელექტრონის ენერგია ამოძრავებს წისქვილს და ხერხის მანქანას. დადგმული არის აგრეთვე სათადარიგო ახალი მატორი „ოტოდეიცი" დინამოთი. განათების გაიაფების მიზნით განზრახულია ენერგიის გადაყვანა მდ. ჩხარის (სოფ. ეკში) წყლის ძალაზე.

ქალაქს ბაღი თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. დარგულია ახალი კულტურული მცენარეები

სენაკის სამაზრო აღმასკომის საქმეთა მმართველი ი. კოდუა.

სოფ. მეტეხი (ახალქალაქის რაიონი, გორის მაზრა)

სოფ. მეტეხზე აღებული აქვთ შეფობა შრომის სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს, რომლებმაც 1-ლ მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მეტეხში გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები ამხ. რ. ჯლამაძე და ა. თურქია. უკანასკნელებმა ჩამოიტანეს ამ დღისა-

თვის სპეციალურად დამზადებული პლაკატები, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვ. ნაშუადღევს ადგილობრივ კლუბის დარბაზში მეტეხის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნოშა თაბორიძის თავმჯდომარეობით მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა საერთო კრება. კრებაზე ამხ. თურქიამ დამსწრეთ მოუთხრო 1 ლ მაისის დღესასწაულის ისტორია და განუმარტა მისი მნიშვნელობა, ხოლო ამხ. ჯღამაძემ ილაპარაკა შეფობის მნიშვნელობაზე. დასასრულს გარჩეულ იქნა სხვადასხვა საკითხები, რომლებიც შეეხებოდენ ადგილობრივ სკოლას, კლუბს და სხვ. ილაპარაკეს გლეხებმაც, რომლებიც კმაყოფილებას გამოსთქვამდენ შეფის ასეთ მზრუნველობაზე და იმედს გამოთქვამდენ, რომ შემდეგშიაც შეფი ჩქარ-ჩქარა ინახულებს მათ.

იმედია შეფი არსებულ კავშირს კიდევ უფრო გაამტკიცებს.

კრების დასასრულს დამსწრეთ შეფმა დაურიგა გაზეთები და პლაკატები, რითაც ადგილობრივი გლეხობა ნასიამოვნები დარჩა.

უნდა ითქვას, რომ შეფი სოფ. მეტეხს არ აკლებს თავის მზრუნველობას. მან მოუწყო მათ სამკითხველო, რომლისათვის გამოგზავნა წიგნები. გამოუწერა გაზეთები. საჭიროებისამებრ მოსწავლე ახალგაზრდობას უგზავნის სამოსწავლო საგნებს, როგორც მაგალითად სასწავლო წიგნებს, რვეულებს და სხ. მოაწყო კლუბი, სცენა და სხ.

ნ. გ.

სწავლა-განათლების საქმე ახალციხეში

ამ ჟამად ახალციხეში ითვლება 5 შრომის სკოლა. 3 სომხურისა და 2 ქართული. 1) მეორე 4 წლიანი სომხური, სადაც 170 მოწაფე სწავლობს; 2) პირველი 7 წლიანი—247 მოწ.; 3) მეორე ცხრაწლიანი—200 მოწაფე. სულ 617 სომეხი მოწაფე. 4) ქართული 4 წლიანი ბერძნული განყოფილებით, სადაც სწავლობს 92 ქართველი და 19 ბერძენი, სულ 111 მოწაფე; 5) პირველი 9 წლიანი მუსულმანური განყოფილებით, სწავლობს 199 ქართველი, 19 ქართველ-მაჰმადიანი, 4 რუსი, 3 პოლონელი და 2 ბერძენი, სულ—218 მოწაფე ქალაქში სულ 973 მოწაფეა ყველა ეროვნებიდან, ხოლო მაზრაში სწავლობს 1417 მოწაფე ყველა ეროვნებისა. წინანდელთან შედარებით, ამ ხანად ქალაქის სკოლებში თითქმის 150 ბავშვი მეტი სწავლობს, მაზრაში კი ამ ჟამად ექვსჯერ მეტი სწავლობს, ვიდრე უწინ.

წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებიც არის აქ ქართული და სომხური განყოფილებით სწავლა თითქმის მთავრდება მოზრდილებისა, მაგრამ შეუძლებელია არ უსაყვედუროთ ქართულ განყოფილებას. ვერ შედგა ნორმალური რიცხვი მოზრდილ ახალგაზრდებისა; 20-ზე ბევრად ნაკლები იყო, ისიც ხშირად აკლდებოდენ მოსწავლენი; მათ შორის ზოგს 10 დღეც არ უვლია და ბევრსაც თვე და თვენახევარიც არ შესრულებია. ცხადია, მასწავლებელსაც უნდა ედოს დანაშაულობის წილი, თავის მოსწავლეებზედ არა ნაკლებ ისიც აკლდებოდა თურმე. სტატისტიკური ცნობით, ახალციხესა და მის მაზრაში 10,219 ბავშვია სკოლის გარეშე დარჩენილი 7 წლიდან 12 წლამდე.

ძველი რევოლუციონერი

დარჩელის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია

(ზუგდიდის მაზრა)

ა. წ. 20 აპრილს შესდგა დარჩელის რაიონის უპარტიო გლეხთა და დელეგატ ქალთა კრება. კრებას დაესწრო 500 კაცი და 200 ქალი.

კონფერენცია გახსნისთანავე ფეხზე ადგომით პატივსცემს უდიდეს ბელადს ლენინს, რომლის შემდეგ გუნდი ასრულებს ინტერნაციონალს. კონფერენციას ხსნის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. ალქაია და მიესალმება მას. აგრეთვე მისასალმებელი სიტყვებით მიმართა კონფერენციას ზუგდიდის ქალთა განყოფილების გამგე ამხ. ნადო გახარიამ. შემდეგ ამისა იქნა არჩეული პრეზიდიუმი 5 კაცისაგან შემდგარი. რომელშიაც შევიდნენ ქალებიც. საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნენ არჩეული ამხ. ამხ. ტროცკი, მახარაძე, ცხაკაია და კოლონტაი.

კონფერენციამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები ცეკას და ცაკს.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. მომენტის შესახებ და საკავშირო ყრილობების შედეგები.
2. ლენინი და გლეხობა.
3. ფულის რეფორმა.
4. რაიაღმასკომის ანგარიშები.
5. მოხსენება ადგილობრივი „ეპოს" შესახებ
6. აგრონომიული პუნქტის შესახებ.
7. ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შესახებ.
8. მიმდინარე საკითხები.

პირველ არა საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ქარია.

ის დაწვრილებით ეხება დღევანდელ მდგომარეობას და საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას, უმთავრესად ჩერდება ყრილობების მიერ გამოტანილ დადგენილებებზე, შემდეგ ახასიათებს ამხ. ლენინს და მის მნიშვნელობას მსოფლიოს მუშათა კლასისათვის.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მოხსენების გამო კონფერენციამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

ფულის რეფორმის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნადო გახარია. ის ეხება ფულის რეფორმის შინაარსს და მნიშვნელობას, ქალაქის საქონელზე ფასების დაკლებას და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შემდეგ ამისა რაიაღმასკომის ანგარიშს აძლევს ამხ. ა. ქაჯარავა, რომელმაც აღნიშნა მთელი მუშაობა რაიონის მასშტაბით. რაი-აღმასკომის მუშაობით კონფერენცია კმაყოფილი დარჩა და მომავლისათვის უფრო გაძლიერებული მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

მიმდინარე საკითხებში კონფერენციამ გადასჭრა რამდენიმე საჭიროროტო საკითხი რაიონის მასშტაბით.

მედო.

მონმირ-ისურის თემი (სენაკის მაზრა)

გლეხთა კომიტეტი ამ თემში ენერგიულად მუშაობს, ამხ. თენგიზ ხუხუას ხელმძღვანელობით: თემის მშრომელი მოსახლეობა დიდის ხალისით და თანაგრძნობით ეკიდება გლეხკომის ყოველგვარ მოთხოვნებს. შექმნილია სათესლე ფონდი სიმინდით, რომელიც ნებაყოფლობით შემოიტანეს [illegible]. განაწილებულია [illegible] შორის როგორც ნატურით, ისე ფულით.

შემწეობა აღმოუჩინა რამოდენიმე უკიდურეს ღარიბს ნატურით

ამავე თემში შენდება დიდი სკოლის შენობა საზოგადოების ხარჯზე. განზრახულია მომავალი წლისათვის ადგილობრივი ოთხწლიანი სკოლა გადაკეთდეს შვიდ-წლედად, რაც მეტად სასარგებლო იქნება თემისათვის.

[illegible]

სოფ. ქარელი (გორის მაზრა)

კვირას, 18 მაის ს. ქარელის შრომის სკოლის სასარგებლოთ იმავე სკოლის მოწაფეთა მიერ დადგმული იყო 3 მოქმედებიანი პიესა „კოტრის დანაშაულობა" და მოწყობილი კონცერტიული განყოფილება. საღამო იყო მოწყობილი ფრიად შინაარსიანად. მოწაფეებმა შეგნებით და გულწრფელობით წაიკითხეს ლექსები, რომლებშიც მათ გამოხატეს ბუნებისა და მშრომელ ხალხის აღტაცება გაზაფხულის მოსვლის გამო და ნამდვილი მხატვრული ხელოვნებით შეადარეს გაზაფხულის მოსვლა და მისი სიმშვენიერე აწმყო ცხოვრების განახლების და წინმსვლელობის სიმშვენიერეს. აგრეთვე დიდი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზე და მოწაფეებზედ შინაარსიანმა პიესამ „კოტრის დანაშაული",—რომელიც მოწაფეებმა დაფიქრებით ჩაატარეს. დიდი საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენი სოფლის ბავშვები დღეს კულტურულ წინმსვლელობის სურვილით არიან აღჭურვილნი, რაიც აღნიშნულმა საღამომ ნათლად დაგვანახვა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქარელის და მისი რაიონის სკოლების გამგეს—გაბო თათარაშვილს და ქარელის სკოლის მასწავლებლებს—ნატალია კორბესაშვილისას და ნინა გონგლიაშვილისას, რომლებიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას დიდის ენერგიით, შეგნებით და სიყვარულით ბავშვებისადმი. აღნიშნულმა საღამომ ნათლად დაგვანახვა, რომ მათ დიდ შედეგებსაც მიაღწიეს. საწუხარო მოვლენაა თვით ქარელის საზოგადოების გულგრილობა, რომელიც მეტად ნაკლებად დაესწრო საღამოს. ქარელის საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს ნათლად გამორკვეული და გათვალისწინებული, თუ რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მათი კეთილდღეობისთვის მათი ბავშვების განათლება. საჭიროა ყოველგვარი დახმარება გაეწიოს მასწავლებლებს, რომლებიც არა ერთხელ მოუწოდებენ საზოგადოებას, რათა მან ააშენოს სკოლის შენობა, ვინაიდან სკოლა მოთავსებულია მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შენობაში. ამ გარემოებას ქარელის საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს და შეეცადოს ახალი სკოლის აშენებას.—საჭიროა ასეთი საღამოები ხშირ გამოშვებით გაიმართოს ხოლმე, რათა ქარელის საზოგადოებამ უფრო მეტად შეიყვაროს თავისი კულტურული ბავშვები და მათი წინამძღოლები.

ზაქარია ციციშვილი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ს. კ. პ. ტფილისის კ-ის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ხუთშაბათს, მაისის 22 დღის 12 საათზე ტფ. კ-ის სააგიტ.-საპროპ. განყოფილების ბინაზე იწვევს ცენტროპარტსკოლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკუმის საუჯრედო მდივნებისა, კულტმუშაკ კომუნისტების თათბირს. დღის წესრიგი:

1. სტუდენტობაში პოლიტ.-განმანათლებელ მუშაობის ამოცანები.
2. სტუდენტთა საზაფხულო მუშაობა.

ც. კ.-ის საა.გ.-საპრ. გან—ის გამგე ა. პენიაკოვი.

— ქალაქ ხარფუხის რაიონის კომიტეტის სააღრიცხვო-სტატისტიკური განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს შემოვიდნენ რაიკომში 2 დღის განმავლობაში პარტბილეთების მისაღებათ:

ბორჯაძე, სენკოვლასი, ციტაძე კონსტანტინე, მაისურაძე შალვა, გელოვანი ნიკოლოზ, კლუნერმანი ერისტო, დავითაშვილი ელენე და დოვლაროვი არშაკ.

სააღრიცხვო-სტატისტიკური განყოფილება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს, 23 მაისს, საღამოს 5 ნახევარ საათზე ერთიანი პარტიული დღის მაგიერ ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1) თბილისის პარტკონფერენციის შედეგები, საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მესამე ყრილობა. 2) კანდიდატების პარტიის წევრებად ჩარიცხვის შესახებ. 3) მიმდინარე საქმეები.

მდივანი: ვართაპეტიანი.

ხუთშაბათს, 9 საათზე თბ. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება კომისიის სხდომა მუშკორთა შემადგენლობის გადასასინჯავათ. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: გოლდბაუმი, ელისაბედაშვილი, საყვარელიძე, ავენარი, ელიზბარაშვილი, ლევშინი, კ კიპაძე და გაზეთ „მარტაკის" წარმომადგენელი.

თბ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ა. პენიაკოვი.

განცხადებები

სრულიად საქართველოს ხელოვნებათა კავშირის მთავარი კომიტეტი და ხელოვნების სახელით მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 19 მაისს ქ. მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი რეჟისორი და ქართული სტუდიის ხელმძღვანელი

ვახტანგ მჭედლიშვილი

1019—1—1

თბილისში მყოფნი უახლოესი ნათესავები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ მოსკოვში 19 მაისს, დილის 6 საათზე უეცრად გარდაიცვალა რეჟისორი

ვახტანგ მჭედლიშვილი

გულმოკლული მშობლები: [illegible] ბერიძეები, დები: ნინო შათირიშვილისა და ნატო ჯავახიშვილისა, სიძეები: შალვა შათირიშვილი და გიორგი ჯავახიშვილი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 ს ამა მაისს დილის 5 ნახ. საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და უსაყვარლესი

ვახტანგი (ვახო)

მე 4 ქიმიურ ტექნიკუმის 1 კლასის მოწაფე

დასაფლავება შაბათს 24 მაისს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვის შემდეგ. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე

№ 1020—1—1

კომუნალური წყალსადენი აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ

რომ აპრილში დახარჯულ წყლის ფულის აკრეფის წესი

რჩება შეუცვლელათ

აკრეფის წესი შეიცვლება ხოლო მაისში დახარჯული წყლისათვის. ამიტომ ყველა ადგილკომებს ეძლევა წინადადება აპრილის თვეში დახარჯული წყლისათვის უკანასკნელათ მისცენ თავიანთ თანამშრომლებს სათანადო შეღავათის მოწმობები.

კომ. მეურნ. გამგე: ახრიევი
წყალსად. დირექტორი ინჟინერი: [illegible]
ნ. 1153 1—1 კანც. გამგე: ნ. გვარამაძე

გამოვიდა და იყიდება ყველგან

შ. ჯანბერიძის

მეორე წიგნი

პოეზია

[illegible] 1—1 ფასი 85 კაპ

თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილება

ამით აცხადებს

საყოველთაო საყურადღებოთ, რომ ა/წ 22 მაისს, დილის 11 საათზე თავისუფლების მოედ. ყოფ. თამამშევის ქარვასლაში დანიშნულია

საჯარო გაყიდვა

რესტორან „პალასი"-ს მოწყობილობისა, ჭურჭლისა, სხვა და სხვა სასმელებისა და ინვენტარისა.

1151—2—2 საფ. განყ. გამგე მ. გაჯაშვილი.

წაღვერში და კეჩხობში

საიჯარო ნაკვეთების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ

კურორტთა მთავარი სამმართველო ამით მოაგონებს საიჯარო ნაკვეთების მოიჯარადრეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან შემოიტანონ სამმართველოს სალაროში—(თბილისი, [illegible] ქუჩა № 30) ან ბორჯომში სატყეოში ხელშეკრულობით გათვალისწინებულ ვადაში საიჯარო ქირა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარადრეთა შესახებ მიღებულ იქნება ზომები, რაც გათვალისწინებულია პირობების მე-3 მუხ.: ჯარიმა, იჯარის გაბათილება, შენობების საიჯარო ვაჭრობით გაყიდვა და სხვა.

კურორტთა მთავარი სამმართველო.

ნ. 1148 3—3

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, გაცემული ლაილაშის რაი-აღმასკომის მიერ ვიქტორ კახეთელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1018—1—1

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო ქვეგანყოფილება

ამით აცხადებს აგარაკების დამქირავებელთა საყურადღებოდ, რომ აგარაკ კოჯორში, მანგლისში, კიკეთში და წყნეთში

ქირავდება ოთახები

მანგლისში 75 პრ. რაოდენობით, კოჯორში, კიკეთში და წყნეთში 85 პროფკავშირთა წევრები, რომელნიც იღებენ ჯამაგირს 100 მანეთამდე ლი სეზონის განმავლობაში იხდიან 1-ლ კატეგორიის ოთა 1 კვადრ. არშინზე 1 მანეთს, 2 რე კატეგორიის—60 კაპ. ვინც იღებ მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს პასუხისმგებელ თანამშრომელთა გირისა იხდის 1-ლ კატეგორიის ოთახებზე 1 მან 50 კაპ. მე 2 კატეგ 90 კაპ, დანარჩენი მოქალაქენი იხდიან 5 მანეთს.

საზაფხულო სეზონი გრძელდება აგარაკ მანგლისში 15-ივნისიდან 15 კოჯორში, კიკეთში და წყნეთში 1-ლ ივნისიდან 1-ლ ოქტომბრამდე; ცხადებები მიიღება ა. წ. 30 მაისამდე 2 მან. სალარბო მარკის დაკ

შენიშვნა: კოჯორში ოთახები ქირავდება საჭირო ავეჯეულობით; ნარჩენ აგარაკებში ავეჯეულობა მიეცემა აგარაკების დამქირავებლებს ლებისადაგვარად.

აღმასკომის საკურორტო ქ | განყოფილება.
ნ—115—1—1.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენის კაბინეტით

მიხეილ გედევანიშვილის სახელობისა

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებს ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძ.

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20. 126—25—18

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჰლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამ ბა—შეშხაპ. 914 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული ლება და წამლობა

რენტგენის სხივებით

იღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 28.
895—25—16

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ილია სტურუ ხელზე ჩაითვალოს გაუქმებულად, 1017—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის პროფკავშირიდან № 707, ერმილე ევგენიძე სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 1024—1—

დაიკარგა სახლის წიგნაკი, ანტონოვის აღმართზე უნომრო სა რომელიც ეკუთვნის ნინო ბელაძეს ჩაითვალოს მეწულათ. № 1021—1—

დაიკარგა ქ. თბილისის ყოფილ კულტურ ტექნიკურ სასოფლ მეურნეო ტექნიკუმის კურსის დამთავრების მოწ და აგრეთვე წლოვანობის მეტრიკული, გაცემული დავით ქობზინაძის ლობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ № 1022—1—

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის განკარგულებით სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

21-დან 22-მაისზე ღამის ორი საათიდან

გადაყვანილი იქნება

ადგილობრივ დროზე, ე. ი. ერთი საათით ადრე არსებულთან შედარებით, სახელდობრ:

თბილისიდან გადიან:

მატარებლის №№	დანიშნულების ადგილი	რა დროზე გადიან (ადგილ. დროით)	რა დღეს გადიან
1—ჩქარი	ლენინგრადი	ნაშუადღევს 5 ს. 25 წ	სამშაბათობით
1— „	მოსკოვი	„ 5 ს 25 წ	შაბათობით
3—სწრაფი	როსტოვი	ღამის 1 საათ. 30 წ	ყოველდღე
4— „	ბათომი	დილის 8 საათ. 05 წ	„
8— „	ერევანი	ნაშუადღევს 4 ს. —	„
³/₄— „	თელავი	ღამის 1 საათზე —	„
7—სამგზავ.	ბაქო	შუადღის 12 საათ. —	„
8— „	ბათომი	ღამის 7 საათ 15 წ	„
10— „	ქუთაისი	ღამის 10 ს. 45 წ	შაბათობით
20— „	ბორჯომი	ნაშუადღევს 3 ს. 45 წ	ყოველდღე
21—სამგ სან	ბაქო	ღამის 7 საათ. 45 წ	„
22— „	ბათომი	ღამის 12 საათ. 30 წ	„
31— „	ალექსანდროპ.	ღამის 8 საათ 50 წ	ლუწ რიცხვებში

თბილისში მოდიან:

მატარებლის №№	საიდან მოდიან	რა დროზე მოდიან (ადგილობრივი დროით)	მოსვლის დღე
2—ჩქარი	ლენინგრადიდან	ნაშუადღევს 1 ს 30 წ	პარასკეობით
2— „	მოსკოვიდან	„ 1 ს 30 წ	სამშაბათობით
³/₄ სწრაფ.	ბათომიდან	ღამის 10 ს. 40 წ	ყოველდღე
4— „	როსტოვიდან	დილის 4 საათ. 45 წ	„
³/₄— „	თელავიდან	ღამის 7 ს. 35 წ	„
4— „	ერევანიდან	ღამის 10 საათ —	„
7—სამგზ	ბათომიდან	დილის 10 ს. 35 წ	„
8— „	ბაქოდან	დილის 5 ს. 50 წ	„
9— „	ქუთაისიდან	დილის 8 საათ 50 წ	„
19— „	ბორჯომიდან	დილის 7 საათ 55 წ	ორშაბათობით
21—სამ სან	ბათომიდან	დილის 4 საათ. 35 წ	ყოველდღე
22— „	ბაქოდან	ღამის 5 საათ. 10 წ	„
32— „	ალექსანდროპ.	შუადღის 12 საათ —	წყვილ რიცხვებში

2—1 ნის.

ლენინგრადის სახელმწიფო ელექტრო-მანქანების სააღმშენებლო ტრესტი

„ელმაშტრესტ"

თბილისის განყოფილება სოლოლაკის ქუჩა, № 2

წარმოება:

დინამო-მანქანები ყოველგვარი და სხვადასხვა სიძლიერის
დინამო-მანქანები გაძლიერებული და მაღალი სიხშირის რადიო-ტელეგრაფიისათვის
ტურბო-გენერატორები და მანქანების ელექტრონული მოწყობილობა სოფლის მეურნეობისათვის
გამტარები და კაბელი მაღალი და სუსტი ნაკადისათვის
ელექტრონული მოწყობილობა ტრამვაებისა და ელექტრო მავალისათვის
ტრანსფორმატორები 120,000 ვოლტამდე
ლამპების არმატურა მხატვრული და უბრალო
დასადგამი მასალები
მათბობი მოწყობილობა
ელექტრო-ტექნიკური ფაიფური
სავარვარო ლამპები ეკონომიური და ნახევარ-ვატიანი

ტრესტის ქარხნები:

1. „ელექტროსილა" დინამ-მანქანების ქარხანა ყოფ. სიმენს-შუკერტ
2. „სევკაბელ" კაბელების ყოფილი შეერთებული ქარხნები
3. „ელექტრიკ" ელექტრო-მექანიკური და არმატურის ფაბრიკა (ყოფ. დიუფლონ და კონსტანტინოვის).
4. „ელექტრო-აპარატ" ყოფ. სიმენს-გალსკე
5. „სვეტლანა" ლამპების ქარხანა
6. „პროლეტარი" ფაიფურის ქარხანა, ყოფ. კორნილოვის
7. „დრუჟნაია გორკა" შუშის ქარხანა, ყოფ. რიტინგის

ტრესტის განყოფილება ღებულობს დაკვეთას ტრესტის ქარხნების ყველა ნაწარმოებზე

ტრესტის განყოფილება [illegible] აგრეთვე საწყობიდან და ბათუმით ვაჭრობს, როგორც თავისი, ისე უცხოეთში დამზადებული მასალებით, რომლებსაც ტრესტის ქარხნები არ ამზადებენ

საწყობებში მუდმივათ არის როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის სავარვარო ლამპები—ერთ-ვატიანი და ნახევარ ვატიანის,—დიდი მარაგი

ჩვენი ტრესტის ქარხნები ამზადებენ მთელ ელექტრონულ მოწყობილობას ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურისათვის და ელექტრონის რკინიგზისათვის [illegible]

სამუშაო, რომელსაც ასრულებს ტრესტი:

აშენება, მოწყობა და შეკეთება სადგურების, გადაცემის ხაზების, ქსელის, ქალაქების და სოფლების განათება, ტურბო გენერატორების შეკეთება.
ელექტრონული მოწყობა ფაბრიკა ქარხნების, მაღაროების, წყალსადენის სადგურების, მოწყობა ლიფტების და სხვა.
აშენება ტრამვაის, ელექტრონის გზების, ელექტრო-თმავლის, დაზელით მავალის და სხვა.
ელექტრონული მოწყობა სამხედრო და კომერციული გემების.
ელექტროფიკაცია სოფლის მეურნეობის წარმოებების, ხის სახერხი ქარხნების ელექტ ნული მოწყობა, დახენა ელექტრონით.
შეკეთება და მონტაჟი ელექტრო-სადგურების, მანქანების, აპარატების და სხვა.
შემუშავება პროექტების და ზედმიწევნითი ხარჯთ-აღრიცხვების, ეკონომიური გამოკვლევის წარმოება.
ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა, კონსულტაცია და სხვა

სახელმწიფო დაწესებულებებს, კომუნალურ მეურნეობებს, კოოპერატივებს ვთხოვთ თავის დროზე გვაცნობონ, თუ რა ესაჭიროებათ მათ, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს თავის დროზე დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილებები.

პრეის-კურანტის ფასები სავსებით მისაწვდომია

ზემო-აღნიშნულ ორგანიზაციებს, შესაძლებელია, საქონელი მიეცეთ ნისიადაც და განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში.

0—1